ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს აღრიცხვის გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას. ის ხელმძღვანელობისგან ასევე მოითხოვს, რომ ჯგუფისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებისას განახორციელონ მსჯელობები. საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მსჯელობების და სირთულის მაღალ დონესთან ან საკითხები, სადაც დაშვებები და გაანგარიშებები არსებითია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია შენიშვნაში 4.

კონსოლიდაციის საფუძველი. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ჯგუფი არის განფენილი ან უფლება აქვს, ინვესტირებულ საწარმოში მის მონაწილეობასთან დაკავშირებული ცვლადი ამონაგების მიღებაზე და აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოებთან მიმართებაში, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის ამონაგების ოდენობაზე. კონკრეტულად ჯგუფი აკონტროლებას ინვესტირებულ საწარმოს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა:

- აქვს ძალაუფლება ინვესტირებულ საწარმოზე (ე.ი. არსებული უფლებები, რომლებიც აძლევს ამჟამინდელ უფლებას მართოს ინვესტირებული საწარმოს შესაბამისი აქტივობები);
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე ინვესტირებულ კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს უფლებამოსილება, რომ გავლენა მოახდინოს მის უკუგებაზე;

როდესაც ჯგუფი არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, ჯგუფი განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის:

- ხელშეკრულებით განსაზღვრულ ურთიერთობას ინვესტირებულ ერთეულის სხვა მხარეებთან;
- სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლებებს;
- ჯგუფის ხმის მიცემის უფლებებს და პოტენციურ ხმის უფლებებს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ ერთეულს, თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს კონტროლის სამი ელემენტიდან ერთის ან რამდენიმე ცვლილებაზე. შვილობილის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება მშობელი კომპანიის ანგარიშგების იგივე პერიოდისთვის და გამოიყენება ერთიანი საბუღალტრო პოლიტიკები. ჯგუფის შიგნით არსებული ყველა ბალანსი, ოპერაცია, ასევე არარეალიზებული მოგება და ზარალი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან და დივიდენდები სრულად ელიმინირდება. მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლების (OCI) თითოეული შემადგენელი ნაწილი განეკუთვნება როგორც ჯგუფის მშობელი კომპანიის კაპიტალის მფლობელებს, ასევე არაკონტროლირებადი წილების მფლობელებს — მაშინაც კი, თუ ეს არაკონტროლირებადი წილების უარყოფით ნაშთს გამოიწვევს.

საჭიროების შემთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

შვილობილ კომპანიაში მფლობელობის წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, აღირიცხება როგორც კაპიტალის ოპერაცია. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი:

- წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივებისა (მათ შორის გუდვილს) და ვალდებულებების აღიარებას;
- წყვეტს არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულების აღიარებას;
- წყვეტს კაპიტალში აღრიცხულ დაგროვილ სავალუტო კურსების სხვაობებს;
- აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- მოგებასა ან ზარალში აღიარებს ნებისმიერ ზედმეტობას ან დეფიციტს;
- ხელახალ კლასიფიკაციას ახორციელებს მშობელი კომპანიის წილზე იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც ადრე აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში — მოგებასა ან ზარალში ან გაუნაწილებელ მოგებაში, შესაბამისობის მიხედვით.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. ჯგუფისა და კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც საწარმო ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და ჯგუფისა და კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("ლარი"). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ჯგუფისა და კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში, შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ("სებ") ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით გადაანგარიშებიდან, აღიარდება მოგება ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი ან დანახარჯი / „სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა". უცხოური ვალუტის კურსის შემოსავლები და ხარჯები რომლებიც უკავშირდება სესხებს, მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში წარდგენილია „ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები" მუხლში. ყველა სხვა უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში "სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა" მუხლში. წლის ბოლოს არსებული ვალუტის კურსებით გადაანგარიშება არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც რეალური ღირებულებითაა შეფასებული, უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშდება უცხოური ვალუტის კურსების გამოყენებით იმ თარიღისათვის, როდესაც რეალური ღირებულება განისაზღვრა. უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების გავლენა არაფულად მუხლებზე, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აღირიცხება როგორც რეალური ღირებულების მოგება ან ზარალის ნაწილი.

უცხოურ ვალუტაში ნაშთების გადაანგარიშებისთვის შემდეგი ძირითადი საკურსო განაკვეთები იყო გამოყენებული:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარი 1 = ლარი	2.8068	2.6894
ევრო 1 = ლარი	2.9306	2.9753

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღიარებულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარიცხი, როცა მოითხოვება. ძირითად საშუალებებში შედის: მიწა, სასტუმროს შენობა, სასტუმროს ავეჯი და აღჭურვილობა, დანადგარები, კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება განცალკევებულ აქტივად, შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალი

ეკონომიკური სარგებლის ჯგუფსა და კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების დანახარჯები დაკაპიტალიზდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება ან ზარალში. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი კომპენსირდება, თუ ადგილი აქვს ცვლილებას შეფასებაში, რომელიც გამოყენებულ იქნა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების გამოთვლისას. მოგება და ზარალი გასვლისას განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსულობისა და საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წლის მოგება ან ზარალში „სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა“ მუხლში.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ჯგუფი და კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. იმის განსასაზღვრად ტრანზაქციისას გამოიყენება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთები, თუ ასეთი ტრანზაქციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს, გამოყენებულია მსჯელობები. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ მსჯელობის საფუძვლად გამოყენებულია მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზი არადაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები წარმოდგენილია შენიშვნაში 6.

ცვეთა. მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, თვითღირებულების მიკუთვნებით მათ ნარჩენ ღირებულებაზე შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	<u>სასიცოცხლო ვადები წლებში</u>
სასტუმროს შენობა	50
დანადგარები	15
სასტუმროს ავეჯი და აღჭურვილობა	10
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	3 to 5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის იმ თანხის შეფასება, რომელსაც ჯგუფი და კომპანია მიმდინარე პერიოდში მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლის დანახარჯების გამოკლების შემდეგ, თუ აქტივი უკვე იმ ასაკში და მდგომარეობაშია, რომელიც მოსალოდნელია რომ ექნება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოსთვის. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ისეთი ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლის მისაღებად, კაპიტალის ზრდისთვის ან ორივესთვის, თუმცა არა—გაყიდვისთვის ჩვეულებრივ საქმიანობაში, არც პროდუქციის წარმოებისა ან მომსახურების მიწოდებისთვის და არც ადმინისტრაციული მიზნებისთვის. საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებით დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, თუ ასეთი არსებობს. საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება 50-წლიან სასიცოცხლო ვადაზე.

თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საინვესტიციო ქონების შეძენას. აშენებული საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, სხვა ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ქონების მოყვანას მის განსაზღვრულ მდგომარეობაში გამოყენებისთვის, და კაპიტალიზებულ სესხის ხარჯებს, თუ ასეთი არსებობს.

არამონეტარული აქტივით ან აქტივებით, ან მონეტარული და არამონეტარული აქტივების კომბინაციის სანაცვლოდ შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება განისაზღვრება მიღებული აქტივის ან დათმობილი აქტივის სამართლიანი ღირებულებით. თუ შესაძლებელია სანდოდ გაიზომოს როგორც მიღებული, ასევე დათმობილი აქტივის სამართლიანი ღირებულება, მაშინ თვითღირებულების გასაზომად გამოიყენება დათმობილი აქტივის სამართლიანი ღირებულება, თუ მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება უფრო აშკარად არ არის დასაბუთებული. საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებულ ნებისმიერ მოგება ან ზარალს

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(რომელიც გამოითვლება გაყიდვიდან მიღებულ თანხასა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით) კომპანია აღიარებს მოგება-ზარალში. როდესაც ქონების გამოყენების მიზანი იცვლება და ქონება გადაკვალიფიცირდება ძირითად საშუალებად ან მარაგად, გადატანა ხდება ამ ქონების საბალანსო ღირებულებით კლასიფიკაციის შეცვლის თარიღის მდგომარეობით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე მოწმდება მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც მეტწილად ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებების გადახედვა მათი შესაძლო კომპენსირების მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღისათვის, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც აქტიურ ბაზარზე ივაჭრება, ფასდება როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასისა და კომპანიის მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობის ნამრავლი. ეს შემთხვევა გვაქვს მაშინაც, როდესაც ბაზრის ნომინალური დღიური ვაჭრობების რაოდენობა არ არის საკმარისი, რათა სრულად მოიცვას ფლობილი რაოდენობა და პოზიციის ერთი ოპერაციით გაყიდვის ბრძანებამაც შეიძლება იმოქმედოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები თუ მოდელები დაფუძნებული გაშლილი ხელის პრინციპის ახლანდელ ტრანზაქციებზე, ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების გათვალისწინებაზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომელთათვის გარე ბაზრების ფასებზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულებით შეფასების ანალიზი ხორციელდება რეალური ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით, შემდეგნაირად: (i) პირველი დონე გულისხმობს კოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) გაზომვას აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასების ტექნიკა ყველა მატერიალური შემავალი მონაცემისთვის, რომელიც დაკვირვებადია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, პირდაპირ (როგორც ფასი) ან ირიბად (ფასიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონე წარმოადენს შეფასებას, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან არადაკვირვებად შემავალ მონაცემებს).

ტრანზაქციების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და, აგრეთვე, სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, დამატებული დარიცხული პროცენტი, და

ფინანსური აქტივებისათვის, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის („*ECL*") ანარიცხით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. *ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი* არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდის საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება შეიცავს კონტრაქტის მხარეების ყველა გადახდილ თუ

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

მიღებულ საფასურს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. იმ აქტივებისთვის, რომლებიც იყო შესყიდული ან წარმოქმნილი საკრედიტო გაუფასურებიდან ("POCI") თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის შესწორებული საკრედიტო რისკით, მაგალითად, ასეთ შემთხვევაში გაანგარიშდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადებიდან თავდაპირველი აღიარებისას და ნაცვლად საკონტრაქტო გადახდების მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირებულია გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას, შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღიარდება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც პირდაპირ აისახება სააღრიცხვო ზარალად. ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომელიც მოითხოვს ნორმატიული აქტებითა თუ საბაზრო შეთანხმებით (ყიდვა-გაყიდვა „ჩვეულებრივი წესით") დროულ მიწოდებას, აისახება გარიგების თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კომპანია იღებს ვალდებულებას მიაწოდოს ფინანსური აქტივი. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება, როდესაც საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნესმოდელი. ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების გამომუშავების მიზნით - კომპანია მიზნად ისახავს: (i) მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას აქტივებისაგან („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით") ან (ii) მიიღოს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ასევე, აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ნაკადები („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით"), ან თუკი (i) და (ii)-დან არცერთი არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც „სხვა" ბიზნეს მოდელის ნაწილი და ხდება შეფასება FVTPL-ის მიხედვით. ბიზნესმოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) იმ ქმედებებთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელსაც კომპანია ახორციელებს შეფასების თარიღისთვის არსებულ პორტფელთან მიმართებაში დადგენილი მიზნის მისაღწევად. ფაქტორები, რომელთაც კომპანია ითვალისწინებს ბიზნესმოდელის განსაზღვრისას, მოიცავს პორტფელის მიზანს და შედგენილობას, წარსულ გამოცდილებას იმის შესახებ თუ როგორ ხდება შესაბამისი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღება, როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორ ფასდება აქტივების ეფექტურობა და რა კომპენსაციას იღებენ მენეჯერები.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს აფასებს შემდეგი კატეგორიებით: რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება ან ზარალში ასახვით ("FVTPL"), რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ("FVOCI") და ამორტიზებული ღირებულება. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვისთვის გამოიყენება; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადის მახასიათებლები. იმის მიუხედავად, ბიზნეს მოდელი მოიცავს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას აქტივებისაგან, თუ როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ასევე, აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი ნაკადების მიღებას, კომპანია განსაზღვრავს წარმოადგენს თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას ("SPPI"). ხელშეკრულების პირობები რისკისადმი განფენილია ან ვოლატარულია, რაც შეუთავსებელია ძირითად სასესხო ხელშეკრულებასთან, ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ხდება FVTPL-ის მიხედვით. SPPI-ის შეფასება ხდება აქტივის საწყისი აღიარებისას და შემდგომში არ ექვემდებარება ახალ შეფასებას.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი და კომპანია მთლიანად ცვლის პორტფელის მართვის ბიზნესმოდელს. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნესმოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში. ჯგუფსა და კომპანიას არ შეუცვლია მისი ბიზნესმოდელი მიმდინარე და შესადარისი პერიოდების განმავლობაში და არ განუხორციელებია არცერთი რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი "მსზ"-სთვის. ჯგუფი და კომპანია აფასებს პერსპექტიულ საფუძველზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (მსზ) იმ სავალო ინსტრუმენტებისთვის, რომელთა შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებული განფენილობისათვის. ჯგუფი და კომპანია ახდენს მსზ-ის შეფასებას და აღიარებს წმინდა ზარალს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების გაუფასურებიდან, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. მსზ-ის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილი ოდენობის თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასების გზით, (ii) ფულის დროით ღირებულებასა და (iii) წარსულში მომხდარ მოვლენებზე, მიმდინარე პირობებსა და მომავალ პროგნოზებზე სრულყოფილად გონივრულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ყოველი საანგარიშგებო

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

პერიოდის ბოლოს.

ჯგუფი და კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისათვის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს იყენებს სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებით (მოთხოვნები შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, პირობის ან სავაჭრო კრედიტის დაზღვევის მიხედვით).

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი და კომპანია ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. ჯგუფმა და კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როდესაც კომპანია ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი და კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) ჯგუფსა და კომპანიას გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გასვლის შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (i) ასევე, ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან (ii) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს და არც ასხვისებს და ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის არადაკავშირებულ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიკაცია. ჯგუფი და კომპანია ზოგჯერ ახდენს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობების გადახედვასა ან სხვაგვარად შეცვლას. ჯგუფი და კომპანია აფასებს არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობის მოდიფიკაცია არსებითად მიჩნეული, სხვა ფაქტორებთან ერთად, შემდეგი ფაქტორებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო ვადა რომელიც არსებითად მოქმედებს აქტივის რისკის პროფილზე, მნიშვნელოვანი ცვლილება საპროცენტო განაკვეთში, დენომინირებული ვალუტის ცვლილება, ახალი უზრუნველყოფა ან საკრედიტო გაუმჯობესება რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს საკრედიტო რისკზე რაც უკავშირდება აქტივს ან მნიშვნელოვნად იზრდება სესხი როდესაც მოვალეს არ აქვს ფინანსური სირთულეები.

თუკი შეცვლილი პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება, საწყისი აქტივიდან ფულადი ნაკადების უფლებები იწურება, ჯგუფი და კომპანია წყვეტს საწყისი ფინანსური აქტივის აღიარებას და აღიარებს ახალ აქტივს რეალური ღირებულებით. ასეთი გადახედვის თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისთვის, იმის განსაზღვრის ჩათვლით, თუ წარმოიქმნა SICR. ჯგუფი და კომპანია ასევე აფასებს, შეესაბამება თუ არა ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი SPPI კრიტერიუმს. იმ საწყისი აქტივის

ღირებულებას, რომლის აღიარებაც შეწყვეტილია, და ახალი არსებითად შეცვლილი აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება მოგებასა ან ზარალში, თუკი სხვაობა არ არის დაკავშირებული მფლობელების კაპიტალის ცვლილებასთან. სიტუაციები, როდესაც გადახედვა გამოწვეული იყო კონტრაგენტის ფინანსური სირთულეებით ან უუნარობით, განახორციელოს თავდაპირველად შეთანხმებული გადახდები, ჯგუფი და კომპანია ადარებს საწყის და გადახედილ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აქტივებთან, თუ აქტივიდან გამომდინარე რისკი და სარგებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელშეკრულებო ცვლილების შედეგად. თუკი რისკი და სარგებელი არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი არსებითად არ განსხვავდება საწყისი აქტივისგან, მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფი და კომპანია ახდენს მთლიანი საბალანსო ღირებულების გადათვლას მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დისკონტირებით საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით (ან ეფექტური საპროცენტო განკვეთით, რომელიც დაკორექტირებულია საკრედიტო ხარისხის გათვალისწინებით, POCI ფინანსური აქტივებისთვის) და ახდენს მოდიფიცირების შემოსულობად ან ზარალად აღიარებას მოგება ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) FVTPL-ს შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია გამოიყენება წარმოებულებისთვის, სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ვალდებულებებისთვის (ე.ი. მოკლევადიანი პოზიციები ფასიან ქაღალდებში), საწარმოთა გაერთიანებისას პირობითი ანაზღაურება და სხვა ასეთი დანიშნულების ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია შემსყიდველის მიერ და (ii) ფინანსური გარანტიის შეთანხმება და სასესხო ვალდებულებები.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა). ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, „კუმულაციური catch up“ მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება ან ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება კაპიტალის ოპერაციას მფლობელებთან.

რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები. თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფმა და კომპანიამ გარკვეული ვალდებულებები შესაძლოა აღრიცხოს რეალური ღირებულებით

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

მოგება ან ზარალში ასახვით. შემოსულობები და ზარალი ასეთ ვალდებულებებზე წარდგენილია მოგება ან ზარალში, გარდა რეალური ღირებულების იმ თანხით ცვლილებისა, რომელიც მიეკუთვნება ამგვარი ვალდებულებების საკრედიტო რისკის ცვლილებებს (განსაზღვრულია, როგორც თანხა, რომელიც არ მიეკუთვნება ცვლილებებს საბაზრო პირობებში და წარმოშობს საბაზრო რისკს), აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში და შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგება ან ზარალში. ეს ასეა, თუ ამგვარი წარდგენა არ ქმნის, ან ზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, რა შემთხვევაშიც შემოსულობები და ზარალი მიეკუთვნება ვალდებულებების საკრედიტო რისკის ცვლილებებს და აგრეთვე წარდგენილია მოგება ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებაში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) ვალდებულებების შეუსრულებლობა და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე საბანკო ნაშთებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა ან ნაკლებია. ფული და ფულის ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) მათ ფლობენ საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს „SPPI"-ს, და (ii) არ წარმოადგენს "FVTPL"-ს. მხოლოდ კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციები, როგორიცაა bail-in-ის შესახებ კანონი გარკვეულ ქვეყნებში, არ ახდენს გავლენას მხოლოდ ძირი და პროცენტის გადახდის ტესტზე, მანამდე სანამ, ის არ იქნება გათვალისწინებული საკონტრაქტო პირობებში, როცა ეს მახასიათებლები იქნება მიღებული მიუხედავად იმისა თუ კანონმდებლობაში ცვლილება მოხდება. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულის და ფულის ეკვივალენტებიდან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომლებიც გაცვლილ ან გამოყენებულ იქნა ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების თარიღიდან სულ მცირე თორმეტი თვის ვადაში, შედის სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულების აღიარება ხდება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ თავის ვალდებულებებს და თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით აღიარება, ხოლო შემდგომ აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მშობელი კომპანიისგან არასაბაზრო პირობებით მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. საწყისი აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალში გადასახდელი ხელშეკრულებითი ფულადი ნაკადებით, დადისკონტირებული მსგავსი პირობების მქონე ფინანსური ინსტრუმენტის საბაზრო პროცენტული განაკვეთით. სესხის ნომინალურ ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის განსხვავება პირდაპირ აღირიცხება კაპიტალში როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში, რაც ასახავს მშობელი ერთეულისგან მიღებულ დამატებით სარგებელს არასაბაზრო პირობების გამო. შემდგომში სესხი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო პროცენტის დარიცხვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რაც ითვალისწინებს საწყისი აღიარებისას ფულად მიღებულ თანხასა და სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობის განულებას.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია. იმ სესხების საერთო და კონკრეტული ხარჯების კაპიტალიზაცია, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია იმ აქტივების შეძენასთან, მშენებლობასა ან წარმოებასთან, რომელთა აღიარება არ ხდება რეალური ღირებულებით და რომლებიც აუცილებლად საჭიროებს მნიშვნელოვან დროს დანიშნულებისამებრ გამოყენებისა თუ გაყიდვისთვის მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივები), კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილი, თუკი კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია 2009 წლის 1 იანვარი ან შემდგომი პერიოდი. კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი დგება მაშინ, როდესაც (ა) კომპანია გასწევს ხარჯებს განსაკუთრებულ აქტივზე; (ბ) გასწევს ხარჯებს სესხებზე; (გ) განახორციელებს ქმედებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის მოსამზადებლად მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისა თუ გაყიდვისთვის. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ თარიღებამდე, როდესაც აქტივები არსებითად მზად არის გამოყენებისა თუ გაყიდვისთვის.

ჯგუფი და კომპანია ახდენს იმ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას, რომლებისგანაც შეიძლებოდა თავის არიდება, თუკი ის არ განახორციელებდა კაპიტალურ ხარჯებს განსაკუთრებულ აქტივებზე. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული კაპიტალიზებული დანახარჯები გამოითვლება საწარმოს დაფინანსების საშუალო ღირებულებით (განსაკუთრებული აქტივების ხარჯებისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახსრები ნასესხებია

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

სპეციალურად განსაკუთრებული აქტივის მისაღებად. ასეთ შემთხვევაში, კონკრეტულ სესხებზე გაწეული ფაქტობრივი დანახარჯები ექვემდებარება კაპიტალიზაციას, ამ სესხების დროებითი ინვესტირებით მიღებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლის გამოქვითვით.

ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტიები შეუქცევადი ხელშეკრულებებია, რომლებიც ჯგუფისა და კომპანიისგან მოთხოვს განსაზღვრულ გადახდებს გარანტიის მფლობელის ზარალის კომპენსაციისთვის, რომელიც მან მიიღო, რადგან კონკრეტულმა მოვალემ ვერ შეასრულა დროული გადახდა სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიოს ოდენობით. თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე გარანტიის არსებობის მანძილზე. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარანტიები ფასდება შემდეგიდან უდიდესი თანხით: (i) დარჩენილი არაამორტიზებული ნაშთი თავდაპირველად აღიარებული თანხიდან და (ii) ვალდებულების დასაფარად გასაწევი ხარჯის საუკეთესო შეფასება ანგარიშგების თარიღის ბოლოს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ანგარიშგების თარიღით მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, რომლის მოხედვითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიებს მათ გამომუშავებულ მოგებაზე (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ ევალებათ გადაიხადონ მოგების გადასახადი მანამ, სანამ არ მოხდება ამ მოგების განაწილება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით. მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საჰირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. გარდა დივიდენდების განაწილებაზე, გადასახადი ასევე გადასახდელია იმ ხარჯებსა ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების უფასოდ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. დაუყოვნებლივ იბეგრება საგადასახადო შეღავათიანი პირობების იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე წინასწარი გადახდები და სხვა სპეციფიკური ტრანზაქციები ასეთ კომპანიებთან, აგრეთვე, გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო კრედიტების გამოკლებით, მოთხოვნილ აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე, შეპირისპირებით შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციებში რეგისტრირებულ პირთათვის წინასწარ გადახდებსა ან ანაზღაურებაზე გაცემული სესხების ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე, აღირიცხება სხვა გადასახადები გარდა მოგებისა მუხლში საოპერაციო ხარჯების ქვეშ.

საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული გაურკვევლობები. ხელმძღვანელობა ჯგუფისა და კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებულ გაურკვევლობებს გადააფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, როდესაც ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრება, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან შემოწმების შემთხვევაში. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო ან სხვა გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების მიერ საუკეთესო შეფასების საფუძველზე. კორექტირებები გაურკვეველი საგადასახადო პოზიციისთვის, აისახება მოგების გადასახადის დარიცხვაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) გადახდილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოებისათვის უფრო ადრე ვიდრე (ა) მოხდება მომხმარებლებისგან მოთხოვნების დაფარვა ან (ბ) როდესაც საქონელი ან მომსახურება მიეწოდება მომხმარებლებს. ჩასათვლელი დღგ-ს ანაზღაურება, როგორც წესი, ხდება გადასახდელ დღგ-სთან შეპირისპირებით, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს ჩათვლა ნეტო-საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ-ს გადავადება 5-დან 10 წლამდე ხდება ისეთი კომპანიების შემთხვევაში, რომელთაც ეხება ბრუნვის 20%-ს დღგ-სგან გათავისუფლება ჩათვლის უფლებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფსა და კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ნიშანი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. ჯგუფისა და კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია ჯგუფისა და კომპანიის წესდებით. ცვლილებები ჯგუფისა და კომპანიის საწესდებო კაპიტალში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ. ცვლილებების ჩათვლით) შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ჯგუფისა და კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. როდესაც ცვლილებები დენომინირებულია ჯგუფისა და კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ისინი უნდა აღიარდეს მფლობელთა გადაწყვეტილების თარიღში არსებული კურსის გამოყენებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და კაპიტალი მცირდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები გამჟღავნდება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში. ჯგუფისა და კომპანიის ბუღალტრული ანგარიშები წარმოადგენს მოგების და სხვა განაწილების საფუძველს. ქართული კანონმდებლობა განსაზღვრავს რომ განაწილების საფუძველი არის მიმდინარე წლის წმინდა მოგება.

ანარიცხები ვალდებულებებისა და დარიცხვებისთვის. ვალდებულებებისა და დარიცხვების ანარიცხები წარმოადგენს არაფინანსურ ვალდებულებებს განუსაზღვრელი დროითა თუ ოდენობით. ისინი აღიარდება, თუკი კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება, როგორც წარსული მოვლენების შედეგი, შესაძლოა, რომ საჭირო იყოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად, და შესაძლოა, საჭირო იყოს ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. ანარიცხები ფასდება დანახარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულებისა და ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას. ანარიცხის გაზრდა დროის გასვლის შედეგად აღიარებულია როგორც საპროცენტო ხარჯი. ისეთი გადახდებისა და მოსაკრებლების, როგორიცაა გადასახადები, მოგების გადასახადისა ან მარეგულირებელი მოსაკრებლის გარდა, რომლებიც დაფუძნებულია იმ პერიოდის ინფორმაციაზე, სანამ წარმოიქმნებოდა გადახდის ვალდებულება, ვალდებულებად აღიარება ხდება, როდესაც არის სავალდებულო მოვლენა, რომელიც იწვევს მოსაკრებლის დაწესებას, როგორც ეს განსაზღვრულია კანონმდებლობით, რომელიც გამოიწვევს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუკი გადახდა განხორციელდება ვალდებულების გამომწვევ მოვლენამდე, იგი იქნება აღიარებული როგორც გადახდილი ავანსი. როდესაც ჯგუფი და კომპანია მოელის რომ ანარიცხი ანაზღაურდება, მაგალითად ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურება აღიარდება განცალკევებულ აქტივად მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება პრაქტიკულად გარკვეულია.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. ხელფასის, სარგოებს, ანაზღაურებადი წლიური შვებულებისა და ბიულეტენის, პრემიების, საქართველოს სახელმწიფოს საპენსიო სააგენტოში გადახდების, დაზღვევისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხდება იმ წელს, როდესაც მოხდა დაკავშირებული მომსახურების გაწევა დაქირავებით მომუშავეთა მიერ ჯგუფისა და კომპანიისთვის. ჯგუფსა და კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები, გარდა განსაზღვრული სავალდებულო გადახდის სქემისა.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. გამოცემის შემდეგ ამ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს თანხმობას ჯგუფისა და კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელმაც ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოცემის უფლება მისცა.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

ჯგუფი და კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებებისა და მსჯელობების მუდმივი გადახედვა ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრულ საფუძველზე მოხდება არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა შეფასებებთან ერთად, ასევე, იყენებს მსჯელობებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას (გაგრძელება)

მსჯელობები, რომელთაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს არსებითი კორექტირებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ ეს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადობის პრინციპით. ამის განსასაზღვრად ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე ზრახვები, ოპერაციაბის მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობა, და გააანალიზა ჯგუფისა და კომპანიის ოპერაციებზე ფინანსური ბაზრის სიტუაციის გავლენა. როგორც წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს, ჯგუფსა და კომპანიას აქვს მაღალი ლევერჯი. მაღალი ლევერიჯი განპირობებულია იმით, რომ ჯგუფსა და კომპანიას აქვს ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14). ჯგუფსა და კომპანიას არ შექმნია ფინანსური სირთულეები მესაკუთრის მხრიდან მუდმივი ფინანსური დახმარების გამო. ჯგუფისა და კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემდგომ პერიოდში გაიზარდა (შენიშვნა 26). გარდა ამისა, სასტუმროსთან დაკავშირებული მეორე ეტაპის მშენებლობების დასრულება მოსალოდნელია 2025 წლის დეკემბერში. სასტუმრომ ფუნქციონირება დაიწყო 2024 წლის ნოემბერში.

გადახდილი ავანსების გაუფასურება. 2022 წლის განმავლობაში ჯგუფმა და კომპანიამ შეწყვიტა ხელშეკრულება მთავარ კონტრაქტორთან მის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ჯგუფმა და კომპანიამ დაიწყო სამართლებრივი დავა კონტრაქტორის წინააღმდეგ. კონტრაქტორისთვის გადახდილი ავანსები სრულად გაუფასურდა. გაუფასურების თანხამ შეადგინა 8,071 ათასი ლარი. პროკურატურის მიერ 2024 წლის 5 ივნისს გამოცემული დადგენილების შესაბამისად, ჯგუფი და კომპანია დაზარალებულად იქნენ აღიარებული და დადგინდა, რომ მათ 4,734 ათასი ლარის ოდენობით მატერიალური ზიანი მიადგათ. ამის შემდგომ, 2024 წლის აგვისტოში კომპანიამ მიიღო 269 ათასი ლარი კონტრაქტორისგან და აღრიცხა, როგორც გაუფასურების აღდგენა.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

მიმდინარე წელს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში შეტანილია მთელი რიგი ცვლილებები, რომელთა დანერგვაც სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული სააღრიცხვო პერიოდისთვის. მათ დანერგვას არ ჰქონია რაიმე არსებითი გავლენა წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნებასა ან წარდგენილ თანხებზე.

შესწორებები სტანდარტში ბასს 1 – „ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად“

ჯგუფმა და კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა ბასს 1 სტანდარტის 2020 წლის იანვარში გამოქვეყნებული შესწორებები. ეს შესწორებები ეხება მხოლოდ ვალდებულებების წარმოდგენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარედ ან გრძელვადიანად და არა რომელიმე აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯების ოდენობასა თუ აღიარების დროს ან ამ მუხლების შესახებ განმარტებულ ინფორმაციას. შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებს, აკონკრეტებს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს მოლოდინი, გამოიყენებს თუ არა პირი უფლებას, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა, განმარტავს, რომ უფლებები არსებობს, თუ საანგარიშო პერიოდის ბოლოს დათქმები კმაყოფილდება და იმის ასახსნელად, რომ დაფარვა ნიშნავს კონტრაჰენტისათვის ფულის, კაპიტალის ინსტრუმენტების, სხვა აქტივების გადაცემას ან მომსახურების გაწევას, შემოაქვს დაფარვის კონკრეტული განსაზღვრება. შესწორებებს არ ჰქონია რაიმე ზეგავლენა ჯგუფის და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, რომელიც ლიკვიდობის დაცვითაა წარმოდგენილი.

შესწორებები სტანდარტში ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება და სტანდარტში ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებები სახელწოდებით „მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები“

ჯგუფმა და კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა შესწორებები სტანდარტებში ბასს 7 და ფასს 7 სახელწოდებით „მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები“. ამ შესწორებებით ბასს 7 სტანდარტს ემატება განმარტება, რომელიც ამბობს, რომ პირი ვალდებულია, განმარტოს ინფორმაცია მიმწოდებლის ფინანსურ გარიგებებთან დაკავშირებით, თუ ეს ინფორმაცია ეხმარება ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს იმ ეფექტის შეფასებაში, რაც ამ გარიგებებს აქვს პირის ვალდებულებებსა და ფულად ნაკდებზე. გარდა ამისა, შეიცვალა ფასს 7 და მას დაემატა მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები, როგორც ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციის შესახებ ინფორმაციის განმარტების მოთხოვნის მაგალითი.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

შესწორებები სტანდარტში ფასს 16 - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის შემთხვევებში

ჯგუფი არ ახორციელებს არსებით კვლევისა და განვითარების საქმიანობას. ნებისმიერი პროდუქტის ან მომსახურების გაუმჯობესება შემოიფარგლება საოპერაციო მზადყოფნით, მომსახურების სტანდარტებით და სასტუმროს ექსპლუატაციისთვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობების შესყიდვით.

4 ინფორმაცია საწარმოს ფილიალების შესახებ

ჯგუფს არ აქვს ფილიალები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყოფილ რეგისტრირებულ ერთეულებს გარეთ. ჯგუფის ძირითადი საოპერაციო ლოკაცია არის სიღნაღი.

5 ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შერჩეული კონსოლიდირებული ძირითადი მაჩვენებლები (ათასლარში).

- ამონაგები: 1,225 (2023: 0) — ამონაგები ეხება 2024 წლის ნოემბერში დაწყებულ საოპერაციო საქმიანობას.
- წლის ზარალი: (6,359) (2023: (2,107)).
- სულ აქტივები: 112,569 (2023: 85,717).
- სულ კაპიტალი: 84,856 (2023: 55,153).
- სულ ვალდებულებები: 27,713 (2023: 30,564).
- მიმდინარე კოეფიციენტი (მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები): 0.73 (2023: 0.35).
- ვალდებულება-კაპიტალის კოეფიციენტი (სულ ვალდებულებები / სულ კაპიტალი): 33% (2023: 55%).
- კაპიტალის სტრუქტურა (გრძელვადიანი ნასესხები სახსრები / (გრძელვადიანი ნასესხები სახსრები + კაპიტალი)): 21.1% (2023: 30.0%).

ამ ანგარიშში გამოყენებული განსაზღვრებები და გამოთვლილი მაჩვენებლები:

- ROAA (უკუგება საშუალო აქტივებზე) = წლის ზარალი / სულ საშუალო აქტივები - (6.4)% (უარყოფითი).
- ROAE (უკუგება საშუალო კაპიტალზე) = წლის ზარალი / საშუალო კაპიტალი - (9.1)% (უარყოფითი).
- თავისუფალი სახსრები (Free cash flow) და EBITDA არ არის წარმოდგენილი როგორც არსებითად შესადარებელი მაჩვენებლები წინა წელთან, ვინაიდან ჯგუფი გადავიდა სამშენებლო ეტაპიდან ოპერაციულ ფაზაში და წინა პერიოდებში არ არსებობდა შესაბამისი მასშტაბის ოპერაციები შედარებისთვის.

6 დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 და 2023 წლებში ჯგუფს საკუთარი აქციები არ შეუძენია.

7 კომპანიის საკრედიტო, ბაზრის, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი

- ჯგუფის საკრედიტო რისკის ზემოქმედება ძირითადად გამომდინარეობს კორპორატიული კლიენტებისგან, ტუროპერატორებისა და ონლაინ პლატფორმებისგან მისაღები თანხებიდან. ვინაიდან სასტუმროს ოპერაციები მხოლოდ 2024 წლის ბოლოს დაიწყო, საკრედიტო ზემოქმედების დონე კვლავ შეზღუდულია. ჯგუფი იყენებს მკაცრ საკრედიტო პოლიტიკას, მონიტორინგს უწევს არსებულ დავალიანებებს და თანამშრომლობს სანდო შუამავლებთან, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი. ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები ინახება ქართულ კომერციულ ბანკებში, რომლებსაც აქვთ დამაკმაყოფილებელი საკრედიტო რიტინგები.

საბაზრო რისკი (სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკის ჩათვლით)

- სავალუტო კურსისადმი ზემოქმედება შეზღუდულია, რადგან ჯგუფის წარმოდგენის ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი) და მისი ხარჯებისა და დაფინანსების უმეტესი ნაწილი ასევე ლარშია ნომინირებული. ჯგუფი მონიტორინგს უწევს სავალუტო რისკებს და გადახედავს დაფინანსების პირობებს, რათა შეამციროს საპროცენტო რისკი. საბაზრო რისკების მგრძნობელობის ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 23-ე შენიშვნაში.

ლიკვიდობის მართვა ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ფინანსური პრიორიტეტია,

-მშენებლობის დასრულებისა და ოპერაციების დაწყების საწყის ფაზაში. ხელმძღვანელობა ამზადებს დეტალურ მოკლე და საშუალოვადიან ფულადი ნაკადების პროგნოზებს და მეთოდურად აკვირდება ფინანსური ვალდებულებების ვადიანობას. **2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**, ჯგუფს ჰქონდა **948 ათასი ლარის** ოდენობის ფული და მისი ექვივალენტები, ასევე გააჩნდა აქციონერების უწყვეტი მხარდაჭერის რესურსი საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.

კომპანიის **მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი** წლის ბოლოს შეადგენდა **0.73-ს**, რასაც ხელმძღვანელობა მოელის, რომ გაუმჯობესდება 2025 წელს საოპერაციო ფულადი ნაკადების ზრდასთან ერთად.

ფუნქციონირების უწყვეტობა

-ხელმძღვანელობამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. 2024 წელს განხორციელებული აქციონერთა კაპიტალის ინვესტიციები, მიღებული ნასესხები სახსრები და სასტუმროს ოპერაციების მოსალოდნელი ფულადი შემოდინებები ქმნის გონივრულ საფუძველს ასეთი შეფასებისთვის. ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს საოპერაციო გეგმებს და ფულადი ნაკადების პროგნოზებს, რათა უზრუნველყოს, ჯგუფის მიერ ვალდებულებების დროულად შესრულება. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ უწყვეტი მონიტორინგის, ფრთხილი ფინანსური მართვისა და ძლიერი აქციონერული მხარდაჭერის პირობებში ჯგუფი კარგად არის პოზიციონირებული ძირითადი რისკების შესამცირებლად და ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად ცვალებადი ბიზნესგარემოს პირობებში.

8 ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა

ჯგუფის საქმიანობა ექვემდებარება ფინანსური და საოპერაციო რისკების მრავალფეროვნებას, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდნენ მის მუშაობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ჯგუფის რისკების მართვის ჩარჩო შექმნილია იმისათვის, რომ რისკები გამოავლინოს, შეაფასოს და შეამციროს სტრუქტურულ და თანმიმდევრულ ფორმატში, ჯგუფის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობასთან ერთად. ძირითადი რისკები, რომელთა წინაშეც ჯგუფი დგას, დაჯგუფებულია ქვემოთ.

საბაზრო და საოპერაციო რისკები

ჯგუფი მოქმედებს ჰოსფითალითის სექტორში, რომელიც უკიდურესად მგრძნობიარეა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ეკონომიკური პირობების, ტურისტული ნაკადების და მომხმარებლის დანახარჯების ტენდენციების მიმართ. ტურისტულ ბაზარზე უარყოფითმა ცვლილებებმა — მათ შორის გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ, მოგზაურობის შემცირებამ ან გლობალურმა ეკონომიკურმა რეცესიამ — შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის დატვირთვის დონესა და შემოსავლის მოცულობაზე.
ხელმძღვანელობა აქტიურად აკვირდება საბაზრო ტენდენციებს და საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ცვლილებებს ფასებში, მარკეტინგისა და ხარჯების სტრუქტურაში, რათა შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და მომგებიანობა.

საპროცენტო რისკი

ჯგუფის საპროცენტო რისკი დაკავშირებულია მის ნასესხებ სახსრებთან, რომლებიც ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით არის ნომინირებული. მიუხედავად იმისა, რომ სესხების უმეტესი ნაწილი გაცემულია ქართულ ლარში, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებს შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ხარჯების ოდენობაზე. ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს სესხების პორტფელს და აკვირდება რეფინანსირების შესაძლებლობებს უფრო ხელსაყრელი პირობებით, რათა შეამციროს მომავალი საპროცენტო ხარჯების ზრდის რისკი.

სავალუტო რისკი

ჯგუფის სავალუტო რისკი შეზღუდულია, რადგან შემოსავლების, ხარჯებისა და დაფინანსების უმრავლესობა ლარშია ნომინირებული. მიუხედავად ამისა, გარკვეული ზემოქმედება არსებობს იმპორტირებულ აღჭურვილობასთან და მარაგებთან დაკავშირებით.
ჯგუფი აკვირდება სავალუტო კურსების ცვლილებებს და საჭიროების შემთხვევაში იყენებს ბუნებრივ ჰეჯირებას ან ადგილობრივი ვალუტით დენომინირებულ მიწოდების ხელშეკრულებებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს სავალუტო კურსების მერყეობის გავლენა.

კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფის მიზანია კაპიტალის მართვისას უზრუნველყოს საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირება და შეინარჩუნოს ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მომავალ ზრდას.
ხელმძღვანელობა აკვირდება ვალდებულებები/კაპიტალის კოეფიციენტს და უზრუნველყოფს, რომ ჯგუფი სათანადოდ იყოს მომზადებული საოპერაციო და საინვესტიციო საჭიროებების დასაფინანსებლად.
2024 წელს აქციონერებმა შეიტანეს 36,062 ათასი ლარი, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ჯგუფის პოზიცია და შეამცირა კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი 21%-მდე.

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმოწერილია 2025 წლის 18 ნოემბერს.

მარიკა ვახტანგიშვილი
დირექტორი

მარიამ ხუციანიძე
მთავარი ბუღალტერი

თარჯიმანი: ნინო მახარაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N251589832
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	20.11.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	გიორგი ჭიტაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა #38
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	47960352478625

მე, ნოტარიუსი გიორგი ჭიტაშვილი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ს. ცინცაძის ქ. №38, ვამოწმებ დიპლომირებული მთარგმნელის ნინო მახარაძის (დაბ. 21.03.1991 წელს, პირადი # 01024079993, რეგ. მისამართზე: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 35ბ, ბინა 9, დიპლომის ნომერი HSG # 000131) ხელმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას. ხელმომწერის ვინაობა და ქმედუნარიანობა შემოწმებულია.

გადახდილია საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილების (რომელშიც შესულია ცვლილება საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის # 272 დადგენილებით) 31-ე მუხლის შესაბამისად,111.00 ლარი, ასევე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, 19.98 ლარი, აგრეთვე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 5.00 ლარი, სულ 135.98 ლარი.

ნოტარიუსი: გ. ჭიტაშვილი

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრი გიორგი ჭიტაშვილი
GEORGI CHITASHVILI * 01024079993 *

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ნ. ქიბაძე

ნოტარიუსი

შპს სასტუმრო სიღნაღში

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 3
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 4

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა 6
2 ჯგუფისა და კომპანიის საოპერაციო გარემო 6
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები 7
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას 15
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 16
6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები 17
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 17
8 ძირითადი საშუალებები 19
9 საინვესტიციო ქონება 21
10 კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები 22
11 ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში 22
12 მარაგები 23
13 ფული და ფულის ექვივალენტები 23
14 საწესდებო კაპიტალი 23
15 ნასესხები სახსრები 24
16 ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების რეკონსილაცია 24
17 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 25
18 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 25
19 ამონაგების თვითღირებულება 25
20 ადმინისტრაციული ხარჯები 26
21 ფინანსური ხარჯი 26
22 გარანტიები და პირობითი ვალდებულებები 27
23 ფინანსური რისკის მართვა 28
24 კაპიტალის მართვა 32
25 რეალური ღირებულების გამჟღავნება 32
26 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სასტუმრო სიღნაღში“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სასტუმრო სიღნაღშისა“ („კომპანია“) და მისი შვილობილების („ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ და ინდივიდიუალური ფულადი ნაკადების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

რისი აუდიტი ჩავატარეთ

ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს არსებით სააღრიცხვო პოლიტიკებს და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში: *აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.*

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი მოსაზრებისთვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისა და კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს გამოშვებული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („პბეკ“-ის კოდექსი) შესაბამისად (მათ შორის, საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების). ჩვენ შევასრულეთ „პბეკ“-ის კოდექსით გათვალისწინებული ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას (მაგრამ არ შეიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებას მასზე).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენს პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების წაკითხვას და ამ პროცესში, იმის დადგენას, ხომ არ არის არსებითი შეუსაბამობა მმართველობითი ანგარიშგებისა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვაგვარად არსებითი შეცდომების შემცველი. თუ, ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ მმართველობით ანგარიშგებაში მოცემულია არსებითად მცდარი ინფორმაცია, ჩვენ მოვალენი ვართ, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ჩვენ ამასთან დაკავშირებით არაფერს არ ვაცხადებთ.

დამატებით, საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით ჩვენ მოგვეთხოვება, გამოვთქვათ მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგებას გარკვეული ნაწილები შესაბამის რეგულატორულ ნორმატიულ აქტებს და ასევე განვიხილოთ, შეიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება იმ ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით.

ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ:

- მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია იმ ფისკალური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არსებითად შეესაბამება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია საქართველოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მე-6 და მე-7 მუხლით.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფსა და კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფისა და კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ასეთი არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, განვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტირებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფისა და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას და სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას, ასევე შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- დასკვნას ვაკეთებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე - არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა, ჯგუფისა და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ გვევალება აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით ჯგუფმა და კომპანიამ შეიძლება შეწყვიტოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ჩვენ ვგეგმავთ და ვახორციელებთ ჯგუფის აუდიტს ისე, რომ მივიღოთ საკმარისი და სანდო მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი ყველა ერთეულის და ბიზნეს ერთეულის ფინანსური ინფორმაციის შესახებ. სწორედ ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტის პროცესში ჩვენ ვხელმძღვანელობთ, ვაკონტროლებთ და ვამოწმებთ იმ სამუშაოს, რომელიც ჯგუფის აუდიტის ფარგლებში სრულდება. ჩვენი აუდიტის მოსაზრებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად ჩვენ გვაკისრია.

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს სახელით (Reg. # SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (Reg. # SARAS-A-506913)

18 ნოემბერი 2025
თბილისი, საქართველო

„სასტუმრო სიღნაღში“ ჯგუფი
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	8	103,456	73,418	14,946	73,418
საინვესტიციო ქონება	9	-	-	88,507	-
არამატერიალური აქტივები		23	-	24	-
კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები	10	5,309	9,483	5,293	9,483
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	11	-	-	5,298	-
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	11	-	209	-	209
სხვა ფინანსური აქტივები	22	200	200	200	200
სულ გრძელვადიანი აქტივები		**108,988**	**83,310**	**114,268**	**83,310**
მოკლევადიანი აქტივები					
მარაგები	12	2,457	25	20	25
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		176	-	174	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	948	2,382	611	2,382
სულ მოკლევადიანი აქტივები		**3,581**	**2,407**	**805**	**2,407**
სულ აქტივები		**112,569**	**85,717**	**115,073**	**85,717**
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	14	93,623	63,583	93,623	63,583
დამატებით ანაზღაურებული კაპიტალი	14	6,022	-	6,022	-
დაგროვილი ზარალი		(14,789)	(8,430)	(11,821)	(8,430)
სულ კაპიტალი		**84,856**	**55,153**	**87,824**	**55,153**
ვალდებულებები					
გრძელვადიანი ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები	15,16	22,788	23,635	22,788	23,635
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**22,788**	**23,635**	**22,788**	**23,635**
მოკლევადიანი ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები	15,16	-	2,238	-	2,238
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	3,195	2,546	2,707	2,546
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		1,730	2,145	1,754	2,145
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**4,925**	**6,929**	**4,461**	**6,929**
სულ ვალდებულებები		**27,713**	**30,564**	**27,249**	**30,564**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**112,569**	**85,717**	**115,073**	**85,717**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმოწერილია 2025 წლის 18 ნოემბერს.

მარიკა ვახტანგიშვილი
დირექტორი

მარიამ ხუციანიძე
მთავარი ბუღალტერი

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, მოცემული გვერდებზე 6-33, ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

„სასტუმრო სიღნაღში“ ჯგუფი

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	2024	2023	2024	2023
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	18	1,225	-	61	-
ამონაგების თვითღირებულება	19	(2,664)	-	-	-
საერთო (ზარალი)/მოგება		**(1,439)**	**-**	**61**	**-**
ადმინისტრაციული ხარჯები	20	(3,383)	(1,586)	(2,265)	(1,586)
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები		(218)	-	-	-
სხვა (ხარჯი)/მოგება, წმინდა		(84)	147	48	147
საოპერაციო ზარალი		**(5,124)**	**(1,439)**	**(2,156)**	**(1,439)**
გაუფასურების აღდგენა	10	269	-	269	-
ფინანსური შემოსავალი	13	15	21	15	21
ფინანსური ხარჯი	21	(1,519)	(689)	(1,519)	(689)
ზარალი გადასახადამდე		**(6,359)**	**(2,107)**	**(3,391)**	**(2,107)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-	-	-
წლის ზარალი		**(6,359)**	**(2,107)**	**(3,391)**	**(2,107)**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული ზარალი		**(6,359)**	**(2,107)**	**(3,391)**	**(2,107)**

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, მოცემული გვერდებზე 6-33, ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

„სასტუმრო სიღნაღში“ ჯგუფი
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანი კაპიტალში	(დაგროვილი დეფიციტი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის		**48,194**	**-**	**(6,323)**	**41,871**
ოპერაციები მფლობელებთან:					
საწესდებო კაპიტალის ზრდა	14	15,389	-	-	15,389
სულ ოპერაციები მფლობელებთან		**15,389**	**-**	**-**	**15,389**
წლის ზარალი		-	-	(2,107)	(2,107)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული ზარალი		**-**	**-**	**(2,107)**	**(2,107)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		**63,583**	**-**	**(8,430)**	**55,153**
ოპერაციები მფლობელებთან:					
საწესდებო კაპიტალის ზრდა	14	30,040	-	-	30,040
დამატებითი შენატანი კაპიტალში	14	-	6,022	-	6,022
სულ ოპერაციები მფლობელებთან 2024 წელს		**30,040**	**6,022**	**-**	**36,062**
წლის ზარალი		-	-	(6,359)	(6,359)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული ზარალი		**-**	**-**	**(6,359)**	**(6,359)**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს		**93,623**	**6,022**	**(14,789)**	**84,856**

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, მოცემული გვერდებზე 6-33, ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანი კაპიტალში	(დაგროვილი დეფიციტი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის		**48,194**	**-**	**(6,323)**	**41,871**
ოპერაციები მფლობელებთან:					
საწესდებო კაპიტალის ზრდა	14	15,389	-	-	**15,389**
სულ ოპერაციები მფლობელებთან		**15,389**	**-**	**-**	**15,389**
წლის ზარალი		-	-	(2,107)	**(2,107)**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	**-**
სულ წლის სრული ზარალი		**-**	**-**	**(2,107)**	**(2,107)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		**63,583**	**-**	**(8,430)**	**55,153**
ოპერაციები მფლობელებთან:					
საწესდებო კაპიტალის ზრდა	14	30,040	-	-	**30,040**
დამატებითი შენატანი კაპიტალში	14	-	6,022	-	**6,022**
სულ ოპერაციები მფლობელებთან 2024 წელს		**30,040**	**6,022**	**-**	**36,062**
წლის ზარალი		-	-	(3,391)	**(3,391)**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	**-**
სულ წლის სრული ზარალი		**-**	**-**	**(3,391)**	**(3,391)**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს		**93,623**	**6,022**	**(11,821)**	**87,824**

„სასტუმრო სიღნაღში“ ჯგუფი
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2024	**2023**	**2024**	**2023**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან					
კლიენტებისგან მიღებული თანხები (დღგ-ს ჩათვლით)		1,493	-	-	-
დაქირავებულ პირთათვის გადახდილი თანხები (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)		(2,961)	(662)	(834)	(662)
სხვა გადასახადის დაბრუნება, გარდა მოგების გადასახადისა		4,522	3,682	4,331	3,682
მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხები (საქონლის და მომსახურების გადასახადის ჩათვლით)		(6,073)	(1,173)	(1,789)	(1,173)
ოპერაციებში (გამოყენებული)/მიღებული ფულადი სახსრები		**(3,019)**	**1,847**	**1,708**	**1,847**
პროცენტის მიღება		14	21	14	21
პროცენტის დაფარვა	16	(2,095)	(1,482)	(2,095)	(1,482)
საოპერაციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**(5,100)**	**386**	**(373)**	**386**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან					
გადახდები ქონების მშენებლობისთვის		(26,651)	(25,608)	(26,651)	(25,608)
შვილობილი საწარმოს კაპიტალში შენატანი		-	-	(5,090)	-
მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის კაპიტალში შენატანი		-	-	-	(209)
მიწის შესყიდვა		(5)	(182)	(5)	(182)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(1,509)	(3)	(1,509)	(3)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(28,165)**	**(25,793)**	**(33,255)**	**(26,002)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან					
შემოსულობა საწესდებო კაპიტალის ზრდიდან, აქციების გამოშვების გარდა	14	30,040	15,578	30,040	15,787
შემოსულობა სესხებიდან	16	59,519	12,847	59,519	12,847
სესხების დაფარვა	16	(57,685)	(1,295)	(57,685)	(1,295)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**31,874**	**27,130**	**31,874**	**27,339**
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე		(43)	222	(17)	222
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა (კლება)/ზრდა		**(1,434)**	**1,945**	**(1,771)**	**1,945**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	2,382	437	2,382	437
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**13**	**948**	**2,382**	**611**	**2,382**

თანდართული განმარტებითი შენიშვნები, მოცემული გვერდებზე 6-33, ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შპს სასტუმრო სიღნაღში-სთვის („კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის („ჯგუფი“). კომპანია დაფუძნდა 2018 წლის 8 მაისს და რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სარეგისტრაციო ნომრით: 404557644.

2023 წლის 16 ოქტომბერს კომპანიამ შეისყიდა 30%-იანი წილი შპს “ბოდბმე მენეჯმენტში” - ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში. შემდგომ პერიოდში, 2024 წლის 29 იანვარს კომპანიამ შეისყიდა დარჩენილი 70%-იანი წილი და მოიპოვა კონტროლი შპს “ბოდბე მენეჯმენტზე”. 2024 წლის 4 დეკემბერს, კომპანიამ დააარსა შპს “ბოდბე კონცეპტი” - სრულად ფლობილი შვილობილი საწარმო. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიისა და მისი სრულად ფლობილი შვილობილი საწარმოებისგან, შპს “ბოდბე მენეჯმენტისა” და შპს “ბოდბე კონცეპტისგან”(შენიშვნა 11).

კომპანიის მფლობელების სტრუქტურა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი იყო:

მფლობელები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს “სიღნაღი ჰოლდინგი”	70.0%	70.0%
შპს “ეს.სი. რეალ ისთეით ენდ დეველოფმენთი”	30.0%	30.0%
სულ	**100.0%**	**100.0%**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი და კომპანია საბოლოოდ კონტროლდებოდა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მიერ და საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი იყო ბატონი უტა ივანიშვილი. 2024 წლის დეკემბერში საკუთრების სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უტა ივანიშვილს ეკუთვნოდა 35%-იანი წილი, ხოლო დარჩენილი 65% ეკუთვნოდა თხუთმეტ ურთიერთგანაცხადებულ დამოუკიდებელ ფიზიკურ პირს, რომელთაგან თითოეულს არ გააჩნდა საერთო წილის 5%-ზე მეტი. ჯგუფისა და კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის და სრულად შეესაბამება ფასს-ებს.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მაღალი კლასის ლუქს სასტუმროს მშენებლობა და ოპერირება სიღნაღში (კახეთის რეგიონი), საქართველო. ამ მიზნით, კომპანიას შესყიდული აქვს მიწის ნაკვეთები. სასტუმროს მშენებლობა დასრულდა 2024 წლის სექტემბერში და ოპერაციების განხორციელება დაიწყო 2024 წლის ნოემბერში. სასტუმრო ამჟამად არის პროექტის მეორე ეტაპზე, რაც მოიცავს გამწვანების სამუშაოებს და მომსახურე პერსონალის განთავსებისთვის დამატებითი შენობების მშენებლობას.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილია გერგეთის ქუჩა #3, თბილისი, 0105, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. ეს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (ლარი), თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

თანხების დამრგვალება. წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში და მის განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასეულ ქართულ ლარამდე თუ სხვანაირად არ არის მითითებული.

2 ჯგუფისა და კომპანიის საოპერაციო გარემო

ჯგუფისა და კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და ხშირი ცვლილებების საგანია. საქართველოში შედარებით სტაბილური პოლიტიკური გარემო და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკაა, დაბალი გადასახადებითა და რეგულაციებით. ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, საბიუჯეტო და მონეტარული პოლიტიკების ეფექტიანობა, ასევე საგადასახადო, სამართლებრივი, რეგულაციური და პოლიტიკური გარემოს ცვლილებები.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

რუსეთ-უკრაინის ომი. მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის გრძელვადიანი ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შესაძლოა, რეალური შედეგებისგან განსხვავდებოდეს.

ომი II. ამ კონფლიქტმა გამოიწვია ევროპის ყველაზე მასშტაბური ლტოლვილთა კრიზისი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ — მილიონობით უკრაინელი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქვეყანა და საკუთარი სახლები. უკრაინაში ომის შედეგად მრავალმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ რუსეთზე მკაცრი ეკონომიკური სანქციები დააწესა. ბევრმა კომპანიამ შეწყვიტა საქმიანობა რუსეთში და ბელარუსში. სიტუაცია კვლავ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანაკარგები როგორც უკრაინის, ისე რუსეთისა და დანარჩენი სამყაროსთვის.

ჯგუფსა და კომპანიას არ აქვს პირდაპირი შეხება უკრაინასთან, რუსეთთან ან ბელარუსთან. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ეს ჯგუფისა და კომპანიის საქმიანობაზე შესამჩნევ გავლენას არ მოახდენს. რადგან ომი კვლავ გრძელდება, შეუძლებელია სანდოდ შეფასდეს სრული გავლენა, რაც შესაძლოა ჯგუფზე და კომპანიაზე იქონიოს, მით უფრო, რომ ეკონომიკაზე საერთო ზემოქმედების მასშტაბი გაურკვეველია. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ გარემოს. ხელმძღვანელობას არ შეუძლია ყველა იმ განვითარების პროგნოზირება, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, იმაზე, თუ რა ეფექტი — თუ რაიმე — შეიძლება ჰქონდეს მათ ჯგუფისა და კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იღებს ყველა საჭირო ზომას ჯგუფისა და კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარებისთვის.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბასს-ის (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის კონვენციის მიხედვით. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები წარმოდგენილია თითოეულ შესაბამიდ შენიშვნაში. გარდა 2024 წლის 1 იანვრიდან მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებისა აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვანაირად არ არის მითითებული. (იხილეთ შენიშვნა 5 და ცვლილებები წარდგენაში, წარდგენილია ქვემოთ).

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს აღრიცხვის გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას. ის ხელმძღვანელობისგან ასევე მოითხოვს, რომ ჯგუფისა და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიღებისას განახორციელონ მსჯელობები. საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მსჯელობების და სირთულის მაღალ დონესთან ან საკითხები, სადაც დაშვებები და გაანგარიშებები არსებითია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია შენიშვნაში 4.

კონსოლიდაციის საფუძველი. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ჯგუფი არის განფენილი ან უფლება აქვს, ინვესტირებულ საწარმოში მის მონაწილეობასთან დაკავშირებული ცვლადი ამონაგების მიღებაზე და აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოებთან მიმართებაში, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის ამონაგების ოდენობაზე. კონკრეტულად ჯგუფი აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა:

- აქვს ძალაუფლება ინვესტირებულ საწარმოზე (ე.ი. არსებული უფლებები, რომლებიც აძლევს ამჟამინდელ უფლებას მართოს ინვესტირებული საწარმოს შესაბამისი აქტივობები);
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე ინვესტირებულ კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს უფლებამოსილება, რომ გავლენა მოახდინოს მის უკუგებაზე;

როდესაც ჯგუფი არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, ჯგუფი განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის:

- ხელშეკრულებით განსაზღვრულ ურთიერთობას ინვესტირებულ ერთეულის სხვა მხარეებთან;
- სხვა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლებებს;
- ჯგუფის ხმის მიცემის უფლებებს და პოტენციურ ხმის უფლებებს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ ერთეულს, თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს კონტროლის სამი ელემენტიდან ერთის ან რამდენიმე ცვლილებაზე. შვილობილის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განთავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება მშობელი კომპანიის ანგარიშგების იგივე პერიოდისთვის და გამოიყენება ერთიანი საბუღალტრო პოლიტიკები. ჯგუფის შიგნით არსებული ყველა ბალანსი, ოპერაცია, ასევე არარეალიზებული მოგება და ზარალი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან და დივიდენდები სრულად ელიმინირდება. მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლების (OCI) თითოეული შემადგენელი ნაწილი განეკუთვნება როგორც ჯგუფის მშობელი კომპანიის კაპიტალის მფლობელებს, ასევე არაკონტროლირებადი წილების მფლობელებს — მაშინაც კი, თუ ეს არაკონტროლირებადი წილების უარყოფით ნაშთს გამოიწვევს.

საჭიროების შემთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

შვილობილ კომპანიაში მფლობელობის წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე, აღირიცხება როგორც კაპიტალის ოპერაცია. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი:

- წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივებისა (მათ შორის გუდვილს) და ვალდებულებების აღიარებას;
- წყვეტს არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულების აღიარებას;
- წყვეტს კაპიტალში აღრიცხულ დაგროვილ სავალუტო კურსების სხვაობებს;
- აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- მოგებასა ან ზარალში აღიარებს ნებისმიერ ზედმეტობას ან დეფიციტს;
- ხელახალ კლასიფიკაციას ახორციელებს მშობელი კომპანიის წილზე იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც ადრე აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში — მოგებასა ან ზარალში ან გაუნაწილებელ მოგებაში, შესაბამისობის მიხედვით.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. ჯგუფისა და კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც საწარმო ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და ჯგუფისა და კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("ლარი"). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ჯგუფისა და კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში, შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ("სებ") ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით გადაანგარიშებიდან, აღიარდება მოგება ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი ან დანახარჯი / „სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა". უცხოური ვალუტის კურსის შემოსავლები და ხარჯები რომლებიც უკავშირდება სესხებს, მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში წარდგენილია „ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები" მუხლში. ყველა სხვა უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში "სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა" მუხლში. წლის ბოლოს არსებული ვალუტის კურსებით გადაანგარიშება არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც რეალური ღირებულებითაა შეფასებული, უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშდება უცხოური ვალუტის კურსების გამოყენებით იმ თარიღისათვის, როდესაც რეალური ღირებულება განისაზღვრა. უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების გავლენა არაფულად მუხლებზე, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აღირიცხება როგორც რეალური ღირებულების მოგება ან ზარალის ნაწილი.

უცხოურ ვალუტაში ნაშთების გადაანგარიშებისთვის შემდეგი ძირითადი საკურსო განაკვეთები იყო გამოყენებული:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარი 1 = ლარი	2.8068	2.6894
ევრო 1 = ლარი	2.9306	2.9753

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღიარებულია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარიცხი, როცა მოითხოვება. ძირითად საშუალებებში შედის: მიწა, სასტუმროს შენობა, სასტუმროს ავეჯი და აღჭურვილობა, დანადგარები, კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა და სხვა ძირითადი საშუალებები. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება განცალკევებულ აქტივად, შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალი

ეკონომიკური სარგებლის ჯგუფსა და კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების დანახარჯები დაკაპიტალიზდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება ან ზარალში. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი კომპენსირდება, თუ ადგილი აქვს ცვლილებას შეფასებაში, რომელიც გამოყენებულ იქნა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების გამოთვლისას. მოგება და ზარალი გასვლისას განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსულობისა და საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წლის მოგება ან ზარალში „სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა“ მუხლში.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ჯგუფი და კომპანია ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. იმის განსასაზღვრად ტრანზაქციისას გამოიყენება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთები, თუ ასეთი ტრანზაქციებისთვის აქტიური ბაზარი არ არსებობს, გამოყენებულია მსჯელობები. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ მსჯელობის საფუძვლად გამოყენებულია მსგავსი ტრანზაქციების ფასების ანალიზი არადაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები წარმოდგენილია შენიშვნაში 6.

ცვეთა. მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, თვითღირებულების მიკუთვნებით მათ ნარჩენ ღირებულებაზე შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	<u>სასიცოცხლო ვადები წლებში</u>
სასტუმროს შენობა	50
დანადგარები	15
სასტუმროს ავეჯი და აღჭურვილობა	10
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	3 to 5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის იმ თანხის შეფასება, რომელსაც ჯგუფი და კომპანია მიმდინარე პერიოდში მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლის დანახარჯების გამოკლების შემდეგ, თუ აქტივი უკვე იმ ასაკში და მდგომარეობაშია, რომელიც მოსალოდნელია რომ ექნება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოსთვის. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ისეთი ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლის მისაღებად, კაპიტალის ზრდისთვის ან ორივესთვის, თუმცა არა—გაყიდვისთვის ჩვეულებრივ საქმიანობაში, არც პროდუქციის წარმოებისა ან მომსახურების მიწოდებისთვის და არც ადმინისტრაციული მიზნებისთვის. საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებით დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, თუ ასეთი არსებობს. საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება 50-წლიან სასიცოცხლო ვადაზე.

თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საინვესტიციო ქონების შეძენას. აშენებული საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, სხვა ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ქონების მოყვანას მის განსაზღვრულ მდგომარეობაში გამოყენებისთვის, და კაპიტალიზებულ სესხის ხარჯებს, თუ ასეთი არსებობს.

არამონეტარული აქტივით ან აქტივებით, ან მონეტარული და არამონეტარული აქტივების კომბინაციის სანაცვლოდ შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება განისაზღვრება მიღებული აქტივის ან დათმობილი აქტივის სამართლიანი ღირებულებით. თუ შესაძლებელია სანდოდ გაიზომოს როგორც მიღებული, ასევე დათმობილი აქტივის სამართლიანი ღირებულება, მაშინ თვითღირებულების გასაზომად გამოიყენება დათმობილი აქტივის სამართლიანი ღირებულება, თუ მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება უფრო აშკარად არ არის დასაბუთებული. საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებულ ნებისმიერ მოგება ან ზარალს

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

(რომელიც გამოითვლება გაყიდვიდან მიღებულ თანხასა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით) კომპანია აღიარებს მოგება-ზარალში. როდესაც ქონების გამოყენების მიზანი იცვლება და ქონება გადაკვალიფიცირდება ძირითად საშუალებად ან მარაგად, გადატანა ხდება ამ ქონების საბალანსო ღირებულებით კლასიფიკაციის შეცვლის თარიღის მდგომარეობით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე მოწმდება მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც მეტწილად ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურებების გადახედვა მათი შესაძლო კომპენსირების მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღისათვის, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც აქტიურ ბაზარზე ივაჭრება, ფასდება როგორც ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასისა და კომპანიის მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობის ნამრავლი. ეს შემთხვევა გვაქვს მაშინაც, როდესაც ბაზრის ნომინალური დღიური ვაჭრობების რაოდენობა არ არის საკმარისი, რათა სრულად მოიცვას ფლობილი რაოდენობა და პოზიციის ერთი ოპერაციით გაყიდვის ბრძანებამაც შეიძლება იმოქმედოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელები თუ მოდელები დაფუძნებული გაშლილი ხელის პრინციპის ახლანდელ ტრანზაქციებზე, ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების გათვალისწინებაზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომელთათვის გარე ბაზრების ფასებზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულებით შეფასების ანალიზი ხორციელდება რეალური ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით, შემდეგნაირად: (i) პირველი დონე გულისხმობს კოტირებული ფასებით (არაკორექტირებული) გაზომვას აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა თუ ვალდებულებებისთვის, (ii) მეორე დონის შეფასებები არის შეფასების ტექნიკა ყველა მატერიალური შემავალი მონაცემისთვის, რომელიც დაკვირვებადია აქტივისა თუ ვალდებულებისთვის, პირდაპირ (როგორც ფასი) ან ირიბად (ფასიდან გამომდინარე) და (iii) მესამე დონე წარმოადენს შეფასებას, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ საბაზრო მონაცემებს (შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან არადაკვირვებად შემავალ მონაცემებს).

ტრანზაქციების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. ტრანზაქციების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და, აგრეთვე, სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. ტრანზაქციების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება (“AC”) არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, დამატებული დარიცხული პროცენტი, და

ფინანსური აქტივებისათვის, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის („*ECL*“) ანარიცხით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. *ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი* არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პერიოდის საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება შეიცავს კონტრაქტის მხარეების ყველა გადახდილ თუ

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

მიღებულ საფასურს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. იმ აქტივებისთვის, რომლებიც იყო შესყიდული ან წარმოქმნილი საკრედიტო გაუფასურებიდან ("POCI") თავდაპირველი აღიარებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის შესწორებული საკრედიტო რისკით, მაგალითად, ასეთ შემთხვევაში გაანგარიშდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადებიდან თავდაპირველი აღიარებისას და ნაცვლად საკონტრაქტო გადახდების მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირებულია გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას, შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღიარდება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისათვის, რომელიც პირდაპირ აისახება სააღრიცხვო ზარალად. ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომელიც მოითხოვს ნორმატიული აქტებითა თუ საბაზრო შეთანხმებით (ყიდვა-გაყიდვა „ჩვეულებრივი წესით") დროულ მიწოდებას, აისახება გარიგების თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კომპანია იღებს ვალდებულებას მიაწოდოს ფინანსური აქტივი. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება, როდესაც საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნესმოდელი. ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების გამომუშავების მიზნით - კომპანია მიზნად ისახავს: (i) მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას აქტივებისაგან („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით") ან (ii) მიიღოს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ასევე, აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ნაკადები („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით"), ან თუკი (i) და (ii)-დან არცერთი არ გამოიყენება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც „სხვა" ბიზნეს მოდელის ნაწილი და ხდება შეფასება FVTPL-ის მიხედვით. ბიზნესმოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) იმ ქმედებებთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე, რომელსაც კომპანია ახორციელებს შეფასების თარიღისთვის არსებულ პორტფელთან მიმართებაში დადგენილი მიზნის მისაღწევად. ფაქტორები, რომელთაც კომპანია ითვალისწინებს ბიზნესმოდელის განსაზღვრისას, მოიცავს პორტფელის მიზანს და შედგენილობას, წარსულ გამოცდილებას იმის შესახებ თუ როგორ ხდება შესაბამისი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღება, როგორ ფასდება და იმართება რისკები, როგორ ფასდება აქტივების ეფექტურობა და რა კომპენსაციას იღებენ მენეჯერები.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს აფასებს შემდეგი კატეგორიებით: რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება ან ზარალში ასახვით ("FVTPL"), რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ("FVOCI") და ამორტიზებული ღირებულება. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვისთვის გამოიყენება; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადის მახასიათებლები. იმის მიუხედავად, ბიზნეს მოდელი მოიცავს მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას აქტივებისაგან, თუ როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ასევე, აქტივების გაყიდვის შედეგად წარმოქმნილი ნაკადების მიღებას, კომპანია განსაზღვრავს წარმოადგენს თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას ("SPPI"). ხელშეკრულების პირობები რისკისადმი განფენილია ან ვოლატარულია, რაც შეუთავსებელია ძირითად სასესხო ხელშეკრულებასთან, ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ხდება FVTPL-ის მიხედვით. SPPI-ის შეფასება ხდება აქტივის საწყისი აღიარებისას და შემდგომში არ ექვემდებარება ახალ შეფასებას.

ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი და კომპანია მთლიანად ცვლის პორტფელის მართვის ბიზნესმოდელს. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნესმოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში. ჯგუფსა და კომპანიას არ შეუცვლია მისი ბიზნესმოდელი მიმდინარე და შესადარისი პერიოდების განმავლობაში და არ განუხორციელებია არცერთი რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი "მსზ"-სთვის. ჯგუფი და კომპანია აფასებს პერსპექტიულ საფუძველზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (მსზ) იმ სავალო ინსტრუმენტებისთვის, რომელთა შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებული განფენილობისათვის. ჯგუფი და კომპანია ახდენს მსზ-ის შეფასებას და აღიარებს წმინდა ზარალს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების გაუფასურებიდან, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. მსზ-ის შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილი ოდენობის თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასების გზით, (ii) ფულის დროით ღირებულებასა და (iii) წარსულში მომხდარ მოვლენებზე, მიმდინარე პირობებსა და მომავალ პროგნოზებზე სრულყოფილად გონივრულ და დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ყოველი საანგარიშგებო

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

პერიოდის ბოლოს.

ჯგუფი და კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისათვის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს იყენებს სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებით (მოთხოვნები შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, პირობის ან სავაჭრო კრედიტის დაზღვევის მიხედვით).

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი და კომპანია ამოწურავს ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნის, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტას ნიშნავს. ჯგუფმა და კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როდესაც კომპანია ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობს, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი და კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როცა ა) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება სხვაგვარადაა ამოწურული, ან ბ) ჯგუფსა და კომპანიას გასხვისებული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან ვალდებულების გასვლის შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული და (i) ასევე, ასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს ან (ii) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს და არც ასხვისებს და ინარჩუნებს, მაგრამ არც მათზე კონტროლს იტოვებს. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის არადაკავშირებულ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიკაცია. ჯგუფი და კომპანია ზოგჯერ ახდენს ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობების გადახედვასა ან სხვაგვარად შეცვლას. ჯგუფი და კომპანია აფასებს არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობის მოდიფიკაცია არსებითად მიჩნეული, სხვა ფაქტორებთან ერთად, შემდეგი ფაქტორებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო ვადა რომელიც არსებითად მოქმედებს აქტივის რისკის პროფილზე, მნიშვნელოვანი ცვლილება საპროცენტო განაკვეთში, დენომინირებული ვალუტის ცვლილება, ახალი უზრუნველყოფა ან საკრედიტო გაუმჯობესება რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს საკრედიტო რისკზე რაც უკავშირდება აქტივს ან მნიშვნელოვნად იზრდება სესხი როდესაც მოვალეს არ აქვს ფინანსური სირთულეები.

თუკი შეცვლილი პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება, საწყისი აქტივიდან ფულადი ნაკადების უფლებები იწურება, ჯგუფი და კომპანია წყვეტს საწყისი ფინანსური აქტივის აღიარებას და აღიარებს ახალ აქტივს რეალური ღირებულებით. ასეთი გადახედვის თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისთვის, იმის განსაზღვრის ჩათვლით, თუ წარმოიქმნა SICR. ჯგუფი და კომპანია ასევე აფასებს, შეესაბამება თუ არა ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი SPPI კრიტერიუმს. იმ საწყისი აქტივის

ღირებულებას, რომლის აღიარებაც შეწყვეტილია, და ახალი არსებითად შეცვლილი აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება მოგებასა ან ზარალში, თუკი სხვაობა არ არის დაკავშირებული მფლობელების კაპიტალის ცვლილებასთან. სიტუაციები, როდესაც გადახედვა გამოწვეული იყო კონტრაგენტის ფინანსური სირთულეებით ან უუნარობით, განახორციელოს თავდაპირველად შეთანხმებული გადახდები, ჯგუფი და კომპანია ადარებს საწყის და გადახედილ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს აქტივებთან, თუ აქტივიდან გამომდინარე რისკი და სარგებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება სახელშეკრულებო ცვლილების შედეგად. თუკი რისკი და სარგებელი არ იცვლება, მოდიფიცირებული აქტივი არსებითად არ განსხვავდება საწყისი აქტივისგან, მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფი და კომპანია ახდენს მთლიანი საბალანსო ღირებულების გადათვლას მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების დისკონტირებით საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით (ან ეფექტური საპროცენტო განკვეთით, რომელიც დაკორექტირებულია საკრედიტო ხარისხის გათვალისწინებით, POCI ფინანსური აქტივებისთვის) და ახდენს მოდიფიცირების შემოსულობად ან ზარალად აღიარებას მოგება ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) FVTPL-ს შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია გამოიყენება წარმოებულებისთვის, სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ვალდებულებებისთვის (ე.ი. მოკლევადიანი პოზიციები ფასიან ქაღალდებში), საწარმოთა გაერთიანებისას პირობითი ანაზღაურება და სხვა ასეთი დანიშნულების ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია შემსყიდველის მიერ და (ii) ფინანსური გარანტიის შეთანხმება და სასესხო ვალდებულებები.

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა). ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, „კუმულაციური catch up“ მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება ან ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება კაპიტალის ოპერაციას მფლობელებთან.

რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები. თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფმა და კომპანიამ გარკვეული ვალდებულებები შესაძლოა აღრიცხოს რეალური ღირებულებით

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

მოგება ან ზარალში ასახვით. შემოსულობები და ზარალი ასეთ ვალდებულებებზე წარდგენილია მოგება ან ზარალში, გარდა რეალური ღირებულების იმ თანხით ცვლილებისა, რომელიც მიეკუთვნება ამგვარი ვალდებულებების საკრედიტო რისკის ცვლილებებს (განსაზღვრულია, როგორც თანხა, რომელიც არ მიეკუთვნება ცვლილებებს საბაზრო პირობებში და წარმოშობს საბაზრო რისკს), აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში და შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგება ან ზარალში. ეს ასეა, თუ ამგვარი წარდგენა არ ქმნის, ან ზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, რა შემთხვევაშიც შემოსულობები და ზარალი მიეკუთვნება ვალდებულებების საკრედიტო რისკის ცვლილებებს და აგრეთვე წარდგენილია მოგება ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებაში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) ვალდებულებების შეუსრულებლობა და (iii) გადახდისუუნაროობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე საბანკო ნაშთებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა ან ნაკლებია. ფული და ფულის ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) მათ ფლობენ საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს „SPPI"-ს, და (ii) არ წარმოადგენს "FVTPL"-ს. მხოლოდ კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციები, როგორიცაა bail-in-ის შესახებ კანონი გარკვეულ ქვეყნებში, არ ახდენს გავლენას მხოლოდ ძირი და პროცენტის გადახდის ტესტზე, მანამდე სანამ, ის არ იქნება გათვალისწინებული საკონტრაქტო პირობებში, როცა ეს მახასიათებლები იქნება მიღებული მიუხედავად იმისა თუ კანონმდებლობაში ცვლილება მოხდება. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულის და ფულის ეკვივალენტებიდან ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომლებიც გაცვლილ ან გამოყენებულ იქნა ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების თარიღიდან სულ მცირე თორმეტი თვის ვადაში, შედის სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულების აღიარება ხდება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ თავის ვალდებულებებს და თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით აღიარება, ხოლო შემდგომ აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მშობელი კომპანიისგან არასაბაზრო პირობებით მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. საწყისი აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალში გადასახდელი ხელშეკრულებითი ფულადი ნაკადებით, დადისკონტირებული მსგავსი პირობების მქონე ფინანსური ინსტრუმენტის საბაზრო პროცენტული განაკვეთით. სესხის ნომინალურ ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის განსხვავება პირდაპირ აღირიცხება კაპიტალში როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში, რაც ასახავს მშობელი ერთეულისგან მიღებულ დამატებით სარგებელს არასაბაზრო პირობების გამო. შემდგომში სესხი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო პროცენტის დარიცხვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რაც ითვალისწინებს საწყისი აღიარებისას ფულად მიღებულ თანხასა და სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობის განულებას.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია. იმ სესხების საერთო და კონკრეტული ხარჯების კაპიტალიზაცია, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია იმ აქტივების შეძენასთან, მშენებლობასა ან წარმოებასთან, რომელთა აღიარება არ ხდება რეალური ღირებულებით და რომლებიც აუცილებლად საჭიროებს მნიშვნელოვან დროს დანიშნულებისამებრ გამოყენებისა თუ გაყიდვისთვის მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივები), კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილი, თუკი კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია 2009 წლის 1 იანვარი ან შემდგომი პერიოდი. კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი დგება მაშინ, როდესაც (ა) კომპანია გასწევს ხარჯებს განსაკუთრებულ აქტივზე; (ბ) გასწევს ხარჯებს სესხებზე; (გ) განახორციელებს ქმედებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის მოსამზადებლად მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისა თუ გაყიდვისთვის. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ თარიღებამდე, როდესაც აქტივები არსებითად მზად არის გამოყენებისა თუ გაყიდვისთვის.

ჯგუფი და კომპანია ახდენს იმ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას, რომლებისგანაც შეიძლებოდა თავის არიდება, თუკი ის არ განახორციელებდა კაპიტალურ ხარჯებს განსაკუთრებულ აქტივებზე. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული კაპიტალიზებული დანახარჯები გამოითვლება საწარმოს დაფინანსების საშუალო ღირებულებით (განსაკუთრებული აქტივების ხარჯებისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახსრები ნასესხებია

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

სპეციალურად განსაკუთრებული აქტივის მისაღებად. ასეთ შემთხვევაში, კონკრეტულ სესხებზე გაწეული ფაქტობრივი დანახარჯები ექვემდებარება კაპიტალიზაციას, ამ სესხების დროებითი ინვესტირებით მიღებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლის გამოქვითვით.

ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტიები შეუქცევადი ხელშეკრულებებია, რომლებიც ჯგუფისა და კომპანიისგან მოთხოვს განსაზღვრულ გადახდებს გარანტიის მფლობელის ზარალის კომპენსაციისთვის, რომელიც მან მიიღო, რადგან კონკრეტულმა მოვალემ ვერ შეასრულა დროული გადახდა სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიოს ოდენობით. თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე გარანტიის არსებობის მანძილზე. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გარანტიები ფასდება შემდეგიდან უდიდესი თანხით: (i) დარჩენილი არაამორტიზებული ნაშთი თავდაპირველად აღიარებული თანხიდან და (ii) ვალდებულების დასაფარად გასაწევი ხარჯის საუკეთესო შეფასება ანგარიშგების თარიღის ბოლოს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ანგარიშგების თარიღით მოქმედი ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ საგადასახადო კოდექსში განახორციელა ცვლილებები, რომლის მოხედვითაც 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიებს მათ გამომუშავებულ მოგებაზე (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ ევალებათ გადაიხადონ მოგების გადასახადი მანამ, სანამ არ მოხდება ამ მოგების განაწილება ან არ ჩაითვლება განაწილებულად დივიდენდის სახით. მოგების გადასახადის განაკვეთია 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. გარდა დივიდენდების განაწილებაზე, გადასახადი ასევე გადასახდელია იმ ხარჯებსა ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების უფასოდ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. დაუყოვნებლივ იბეგრება საგადასახადო შეღავათიანი პირობების იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე წინასწარი გადახდები და სხვა სპეციფიკური ტრანზაქციები ასეთ კომპანიებთან, აგრეთვე, გაცემული სესხები ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე. ამგვარი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო კრედიტების გამოკლებით, მოთხოვნილ აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე, შეპირისპირებით შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის იურისდიქციებში რეგისტრირებულ პირთათვის წინასწარ გადახდებსა ან ანაზღაურებაზე გაცემული სესხების ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე, აღირიცხება სხვა გადასახადები გარდა მოგებისა მუხლში საოპერაციო ხარჯების ქვეშ.

საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული გაურკვევლობები. ხელმძღვანელობა ჯგუფისა და კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებულ გაურკვევლობებს გადააფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, როდესაც ხელმძღვანელობის მიერ განისაზღვრება, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან შემოწმების შემთხვევაში. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო ან სხვა გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების მიერ საუკეთესო შეფასების საფუძველზე. კორექტირებები გაურკვეველი საგადასახადო პოზიციისთვის, აისახება მოგების გადასახადის დარიცხვაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) გადახდილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოებისათვის უფრო ადრე ვიდრე (ა) მოხდება მომხმარებლებისგან მოთხოვნების დაფარვა ან (ბ) როდესაც საქონელი ან მომსახურება მიეწოდება მომხმარებლებს. ჩასათვლელი დღგ-ს ანაზღაურება, როგორც წესი, ხდება გადასახდელ დღგ-სთან შეპირისპირებით, დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს ჩათვლა ნეტო-საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ჩასათვლელი დღგ-ს გადავადება 5-დან 10 წლამდე ხდება ისეთი კომპანიების შემთხვევაში, რომელთაც ეხება ბრუნვის 20%-ს დღგ-სგან გათავისუფლება ჩათვლის უფლებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფსა და კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ნიშანი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. ჯგუფისა და კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია ჯგუფისა და კომპანიის წესდებით. ცვლილებები ჯგუფისა და კომპანიის საწესდებო კაპიტალში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ. ცვლილებების ჩათვლით) შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ჯგუფისა და კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. როდესაც ცვლილებები დენომინირებულია ჯგუფისა და კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, ისინი უნდა აღიარდეს მფლობელთა გადაწყვეტილების თარიღში არსებული კურსის გამოყენებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და კაპიტალი მცირდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები გამჟღავნდება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში. ჯგუფისა და კომპანიის ბუღალტრული ანგარიშები წარმოადგენს მოგების და სხვა განაწილების საფუძველს. ქართული კანონმდებლობა განსაზღვრავს რომ განაწილების საფუძველი არის მიმდინარე წლის წმინდა მოგება.

ანარიცხები ვალდებულებებისა და დარიცხვებისთვის. ვალდებულებებისა და დარიცხვების ანარიცხები წარმოადგენს არაფინანსურ ვალდებულებებს განუსაზღვრელი დროითა თუ ოდენობით. ისინი აღიარდება, თუკი კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება, როგორც წარსული მოვლენების შედეგი, შესაძლოა, რომ საჭირო იყოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად, და შესაძლოა, საჭირო იყოს ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. ანარიცხები ფასდება დანახარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულებისა და ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას. ანარიცხის გაზრდა დროის გასვლის შედეგად აღიარებულია როგორც საპროცენტო ხარჯი. ისეთი გადახდებისა და მოსაკრებლების, როგორიცაა გადასახადები, მოგების გადასახადისა ან მარეგულირებელი მოსაკრებლის გარდა, რომლებიც დაფუძნებულია იმ პერიოდის ინფორმაციაზე, სანამ წარმოიქმნებოდა გადახდის ვალდებულება, ვალდებულებად აღიარება ხდება, როდესაც არის სავალდებულო მოვლენა, რომელიც იწვევს მოსაკრებლის დაწესებას, როგორც ეს განსაზღვრულია კანონმდებლობით, რომელიც გამოიწვევს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუკი გადახდა განხორციელდება ვალდებულების გამომწვევ მოვლენამდე, იგი იქნება აღიარებული როგორც გადახდილი ავანსი. როდესაც ჯგუფი და კომპანია მოელის რომ ანარიცხი ანაზღაურდება, მაგალითად ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურება აღიარდება განცალკევებულ აქტივად მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება პრაქტიკულად გარკვეულია.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. ხელფასის, სარგოებს, ანაზღაურებადი წლიური შვებულებისა და ბიულეტენის, პრემიების, საქართველოს სახელმწიფოს საპენსიო სააგენტოში გადახდების, დაზღვევისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხდება იმ წელს, როდესაც მოხდა დაკავშირებული მომსახურების გაწევა დაქირავებით მომუშავეთა მიერ ჯგუფისა და კომპანიისთვის. ჯგუფსა და კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები, გარდა განსაზღვრული სავალდებულო გადახდის სქემისა.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. გამოცემის შემდეგ ამ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს თანხმობას ჯგუფისა და კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელმაც ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოცემის უფლება მისცა.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას

ჯგუფი და კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებებისა და მსჯელობების მუდმივი გადახედვა ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრულ საფუძველზე მოხდება არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა შეფასებებთან ერთად, ასევე, იყენებს მსჯელობებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას (გაგრძელება)

მსჯელობები, რომელთაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს არსებითი კორექტირებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ ეს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადობის პრინციპით. ამის განსასაზღვრად ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე ზრახვები, ოპერაციაბის მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობა, და გააანალიზა ჯგუფისა და კომპანიის ოპერაციებზე ფინანსური ბაზრის სიტუაციის გავლენა. როგორც წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს, ჯგუფსა და კომპანიას აქვს მაღალი ლევერჯი. მაღალი ლევერიჯი განპირობებულია იმით, რომ ჯგუფსა და კომპანიას აქვს ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14). ჯგუფსა და კომპანიას არ შექმნია ფინანსური სირთულეები მესაკუთრის მხრიდან მუდმივი ფინანსური დახმარების გამო. ჯგუფისა და კომპანიის საწესდებო კაპიტალი შემდგომ პერიოდში გაიზარდა (შენიშვნა 26). გარდა ამისა, სასტუმროსთან დაკავშირებული მეორე ეტაპის მშენებლობების დასრულება მოსალოდნელია 2025 წლის დეკემბერში. სასტუმრომ ფუნქციონირება დაიწყო 2024 წლის ნოემბერში.

გადახდილი ავანსების გაუფასურება. 2022 წლის განმავლობაში ჯგუფმა და კომპანიამ შეწყვიტა ხელშეკრულება მთავარ კონტრაქტორთან მის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ჯგუფმა და კომპანიამ დაიწყო სამართლებრივი დავა კონტრაქტორის წინააღმდეგ. კონტრაქტორისთვის გადახდილი ავანსები სრულად გაუფასურდა. გაუფასურების თანხამ შეადგინა 8,071 ათასი ლარი. პროკურატურის მიერ 2024 წლის 5 ივნისს გამოცემული დადგენილების შესაბამისად, ჯგუფი და კომპანია დაზარალებულად იქნენ აღიარებული და დადგინდა, რომ მათ 4,734 ათასი ლარის ოდენობით მატერიალური ზიანი მიადგათ. ამის შემდგომ, 2024 წლის აგვისტოში კომპანიამ მიიღო 269 ათასი ლარი კონტრაქტორისგან და აღრიცხა, როგორც გაუფასურების აღდგენა.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

მიმდინარე წელს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში შეტანილია მთელი რიგი ცვლილებები, რომელთა დანერგვაც სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული სააღრიცხვო პერიოდისთვის. მათ დანერგვას არ ჰქონია რაიმე არსებითი გავლენა წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნებასა ან წარდგენილ თანხებზე.

შესწორებები სტანდარტში ბასს 1 – „ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად“

ჯგუფმა და კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა ბასს 1 სტანდარტის 2020 წლის იანვარში გამოქვეყნებული შესწორებები. ეს შესწორებები ეხება მხოლოდ ვალდებულებების წარმოდგენას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარედ ან გრძელვადიანად და არა რომელიმე აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯების ოდენობასა თუ აღიარების დროს ან ამ მუხლების შესახებ განმარტებულ ინფორმაციას. შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად ეფუძნება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებს, აკონკრეტებს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს მოლოდინი, გამოიყენებს თუ არა პირი უფლებას, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა, განმარტავს, რომ უფლებები არსებობს, თუ საანგარიშო პერიოდის ბოლოს დათქმები კმაყოფილდება და იმის ასახსნელად, რომ დაფარვა ნიშნავს კონტრაჰენტისათვის ფულის, კაპიტალის ინსტრუმენტების, სხვა აქტივების გადაცემას ან მომსახურების გაწევას, შემოაქვს დაფარვის კონკრეტული განსაზღვრება. შესწორებებს არ ჰქონია რაიმე ზეგავლენა ჯგუფის და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, რომელიც ლიკვიდობის დაცვითაა წარმოდგენილი.

შესწორებები სტანდარტში ბასს 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება და სტანდარტში ფასს 7 - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებები სახელწოდებით „მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები“

ჯგუფმა და კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა შესწორებები სტანდარტებში ბასს 7 და ფასს 7 სახელწოდებით „მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები“. ამ შესწორებებით ბასს 7 სტანდარტს ემატება განმარტება, რომელიც ამბობს, რომ პირი ვალდებულია, განმარტოს ინფორმაცია მიმწოდებლის ფინანსურ გარიგებებთან დაკავშირებით, თუ ეს ინფორმაცია ეხმარება ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს იმ ეფექტის შეფასებაში, რაც ამ გარიგებებს აქვს პირის ვალდებულებებსა და ფულად ნაკადებზე. გარდა ამისა, შეიცვალა ფასს 7 და მას დაემატა მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები, როგორც ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციის შესახებ ინფორმაციის განმარტების მოთხოვნის მაგალითი.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

შესწორებები სტანდარტში ფასს 16 - იჯარა - საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის შემთხვევებში

ჯგუფმა და კომპანიამ მიმდინარე წელს პირველად დანერგა შესწორებები სტანდარტში ფასს 16. ამ შესწორებით, გაყიდვისა და უკუიჯარის იმ ტრანზაქციებს, რომლებიც ფასს 15 სტანდარტით „მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი“ აკმაყოფილებს გაყიდვის კრიტერიუმებს, დაემატა შემდგომი შეფასების მოთხოვნა. ამ შესწორებებით, გამყიდველი-მოიჯარე ვალდებულია, „საიჯარო გადახდები“ ან „კორექტირებული საიჯარო გადახდები“ იჯარის დაწყების შემდეგ იმგვარად დაადგინოს, რომ მან არ აღიაროს მოგება ან ზარალი, რომელიც უკავშირდება მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებას. შესწორებები არ მოქმედებს გამყიდველი-მოიჯარის მიერ აღიარებულ მოგებასა თუ ზარალზე, რომელიც უკავშირდება იჯარის ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას. ამ ახალი მოთხოვნების გარეშე, გამყიდველ-მოიჯარეს შეიძლებოდა ეღიარებინა მოგება მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებაზე მხოლოდ საიჯარო ვალდებულების გადაფასების გამო, რაც ფასს 16 სტანდარტის ზოგადი მოთხოვნა იყო (ეს შეიძლება მომხდარიყო, მაგალითად, იჯარის მოდიფიკაციის ან იჯარის პირობების ცვლილების შედეგად). ეს, კერძოდ, ხდებოდა ისეთ უკუიჯარაში, რომელიც მოიცავს ცვლად საიჯარო გადახდებს, რაც ინდექსზე ან განაკვეთზე არ არის დამოკიდებული. შესწორებების ფარგლებში, ბასსს საბჭომ აგრეთვე შეცვალა ფასს 16 სტანდარტში მოცემული საილუსტრაციო მაგალითი და დაამატა ახალი, რომელიც გვიჩვენებს აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების შემდგომ გადაფასებას გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქციაში, სადაც საიჯარო გადახდები ცვლადია და არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. საილუსტრაციო მაგალითები აგრეთვე განმარტავს, რომ ვალდებულება, რომელიც ფასს 15 სტანდარტით გაყიდვად კვალიფიცირებული გაყიდვისა და უკუიჯარის ტრანზაქცია არის საიჯარო ვალდებულება. გამყიდველი-მოიჯარე შესწორებებს იყენებს რეტროსპექტიულად, ბასს 8 სტანდარტის მიხედვით, გაყიდვისა და უკუიჯარის იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც გაფორმდა თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ. ეს უკანასკნელი კი განიმარტება, როგორც ფასს 16 სტანდარტის გამოყენების წლიური საანგარიშო პერიოდის დასაწყისი.

6 ახალი სააღრიცხვო განცხადებები

გამოცემული იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა გამოყენებაც სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, და რომელთა ვადაზე ადრე გამოყენება ჯგუფს და კომპანიას არ დაუწყია.

ფასს S1 – მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების ზოგადი მოთხოვნები	მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება
ფასს S2 — კლიმატთან დაკავშირებული გამჟღავნებები	კლიმატთან დაკავშირებული გამჟღავნებები
შესწორებები SASB სტანდარტებში	SASB-ის სტანდარტებში შეტანილი ცვლილებები მათი საერთაშორისო გამოყენებადობის გაუმჯობესების მიზნით
შესწორებები ბასს 21-ში	ვალუტის გაცვლითი უნარის შესაძლებლობის ნაკლებობა
ფასს 18	წარდგენა და ახსნა-განმარტება ფინანსურ ანგარიშგებებში

დირექტორები არ ელიან, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ჯგუფისა და კომპანიის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში,

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური		
ათას ქართულ ლარში	შემდეგი უმაღლესი მშობელი ერთეული	სხვა დაკავშირებული მხარე	შემდეგი უმაღლესი მშობელი ერთეული	შვილობილი საწარმო	სხვა დაკავშირებული მხარე
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	103	159	103	-	159
სავაჭრო მოთხოვნები	-	-	-	173	-
ნასესხები სახსრები	22,788	-	22,788	-	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური		
ათას ქართულ ლარში	შემდეგი უმაღლესი მშობელი ერთეული	ერთობლივ კონტროლქვეშ მყოფი საწარმო	შემდეგი უმაღლესი მშობელი ერთეული	შვილობილი საწარმო	ერთობლივ კონტროლქვეშ მყოფი საწარმო
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	896	-	-	896

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯის მუხლები შემდეგია:

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური		
ათას ქართულ ლარში	შემდეგი უმაღლესი მშობელი ერთეული	ერთობლივ კონტროლქვეშ მყოფი საწარმო	შემდეგი უმაღლესი მშობელი ერთეული	ერთობლივ კონტროლქვეშ მყოფი საწარმო	შემდეგი უმაღლესი მშობელი ერთეული
საიჯარო შემოსავალი სასტუმროს ქონებიდან*	-	-	-	61	-
საპროცენტო ხარჯი	182	-	182	-	-
სხვა შემოსავალი, წმინდა	-	-	-	2	-

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფსა და კომპანიას არ ჰქონია შემოსავლები და ხარჯები დაკავშირებულ მხარეებთან.

(*) 2024 წლის 1-ლ აგვისტოს კომპანიამ ხელი მოაწერა 3-წლიან საიჯარო ხელშეკრულებას შვილობილ საწარმოსთან, შპს "ბოდბე მენეჯმენტთან", რომელის მიხედვითაც კომპანიამ გააქირავა თავისი ქონება სასტუმროს ოპერაციებისთვის. იხილეთ შენიშვნა 8.

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. კომპანიის ძირითადი ხელმძღვანელი პირები წარმოდგენილია გენერალური დირექტორით. კომპანიის ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ, რომელიც მოკლევადიანი ბენეფიტებითაა წარმოდგენილი, 2024 და 2023 წელს შეადგინა 184 ათასი ლარი და 98 ათასი ლარი, შესაბამისად.

ჯგუფის ძირითადი ხელმძღვანელი პირები წარმოდგენილია კომპანიის გენერალური დირექტორით, შვილობილი საწარმოს ფინანსური დირექტორითა და შვილობილი საწარმოს გენერალური დირექტორით. კომპანიის ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ, რომელიც მოკლევადიანი ბენეფიტებითაა წარმოდგენილი, 2024 და 2023 წელს შეადგინა 301 ათასი ლარი და 98 ათასი ლარი, შესაბამისად.

8 ძირითადი საშუალებები

ცვლილებები ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში შემდეგი იყო:

კონსოლიდირებული

ათას ქართულ ლარში	მიწა	სასტუმროს შენობა	მანქანა-დანადგარები	სასტუმროს ავეჯი და აღჭურვილობა	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა*	სხვა ძირითადი საშუალება	სულ
თვითღირებულება								
2023 წლის 1 იანვარს	**4,815**	**-**	**-**	**-**	**5**	**45,486**	**253**	**50,559**
დამატებები	182	-	-	-	3	21,319	-	21,504
დაკაპიტალიზირებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	-	-	-	1,359	-	1,359
2023 წლის 31 დეკემბერს	**4,997**	**-**	**-**	**-**	**8**	**68,164**	**253**	**73,422**
დამატებები	5	-	-	1,169	202	27,766	85	29,227
დაკაპიტალიზირებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	-	-	-	1,833	-	1,833
მარაგებში გადატანა	-	-	-	(642)	-	-	-	(642)
გადატანა	-	81,386	1,276	12,374	-	(95,454)	418	-
2024 წლის 31 დეკემბერს	**5,002**	**81,386**	**1,276**	**12,901**	**210**	**2,309**	**756**	**103,840**
დაგროვილი ცვეთის ხარჯები								
2023 წლის 1 იანვარს	**-**	**-**	**-**	**-**	**(3)**	**-**	-	**(3)**
წლიური ცვეთის ხარჯი	-	-	-	-	(1)	-	-	(1)
2023 წლის 31 დეკემბერს	**-**	**-**	**-**	**-**	**(4)**	**-**	**-**	**(4)**
წლიური ცვეთის ხარჯი	-	(189)	(10)	(145)	(25)	-	(15)	(384)
2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(189)**	**(10)**	**(145)**	**(25)**	**-**	**(15)**	**(384)**
საბალანსო ღირებულება								
2023 წლის 1 იანვარს	4,815	-	-	-	2	45,486	253	50,556
2023 წლის 31 დეკემბერს	4,997	-	-	-	4	68,164	253	73,418
2024 წლის 31 დეკემბერს	**5,002**	**81,197**	**1,266**	**12,756**	**185**	**2,309**	**741**	**103,456**

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ინდივიდუალური

ათას ქართულ ლარში	მიწა	შენობა	მანქანა-დანადგარები	სასტუმროს ავეჯი და აღჭურვილობა	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა*	სხვა ძირითადი საშუალება	სულ
თვითღირებულება								
2023 წლის 1 იანვარს	**4,815**	**-**	**-**	**-**	**5**	**45,486**	**253**	**50,559**
დამატებები	182	-	-	-	3	21,319	-	21,504
დაკაპიტალიზირებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	-	-	-	1,359	-	1,359
2023 წლის 31 დეკემბერს	**4,997**	**-**	**-**	**-**	**8**	**68,164**	**253**	**73,422**
დამატებები	5	-	-	1,169	202	25,457	83	26,916
დაკაპიტალიზირებული ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	-	-	-	1,833	-	1,833
მარაგებში გადატანა	-	-	-	(642)	-	-	-	(642)
კატეგორიებში გადატანა	-	81,385	1,276	12,374	-	(95,454)	419	-
საინვესტიციო ქონებაში გადატანა	(5,002)	(81,385)	-	-	-	-	-	(86,387)
2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**-**	**1,276**	**12,901**	**210**	**-**	**755**	**15,142**
დაგროვილი ცვეთა								
2023 წლის 1 იანვარს	**-**	**-**	**-**	**-**	**(3)**	**-**	-	**(3)**
წლიური ცვეთის ხარჯი	-	-	-	-	(1)	-	-	(1)
2023 წლის 31 დეკემბერს	**-**	**-**	**-**	**-**	**(4)**	**-**	**-**	**(4)**
წლიური ცვეთის ხარჯი	-	-	(10)	(145)	(21)	-	(16)	(192)
2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**-**	**(10)**	**(145)**	**(25)**	**-**	**(16)**	**(196)**
საბალანსო ღირებულება								
2023 წლის 1 იანვარს	4,815	-	-	-	2	45,486	253	50,556
2023 წლის 31 დეკემბერს	4,997	-	-	-	4	68,164	253	73,418
2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**-**	**1,266**	**12,756**	**185**	**-**	**739**	**14,946**

(*) - დაუმთავრებელი მშენებლობა, მოიცავს სასტუმროს ქონების მშენებლობას სიღნაღში, კახეთი, საქართველო. დასრულებისას, აქტივები გადავა შენობების კატეგორიაში.

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკებიდან მიღებული ნასესხები სახსრების (შენიშვნა 15). უზრუნველსაყოფად დაგირავებული იყო 73,161 ლარის მიწა და მშენებარე ობიექტი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გირავნობის ხელშეკრულება შეწყდა, შესაბამისად, ამ თარიღისთვის ძირითადი საშუალებები არ არის დაგირავებული.
2024 წლის 1-ლ აგვისტოს კომპანიამ ხელი მოაწერა 3-წლიან საიჯარო ხელშეკრულებას შვილობილ საწარმოსთან, შპს "ბოდბე მენეჯმენტთან", რომელის მიხედვითაც კომპანიამ გააქირავა თავისი საინვესტიციო ქონება სასტუმროს საქმიანობისთვის საჭირო სასტუმროსთან დაკავშირებულ ძირითად საშუალებებთან ერთად. ამ შეთანხმების შედეგად, საინვესტიციო ქონებისა და აღჭურვილობის იჯარიდან შემოსავალი განისაზღვრა, როგორც სასტუმროს საოპერაციო შემოსავლის 5%. კომპანია ყოველთვიურად ერთიანად იღებს საინვესტიციო ქონებისა და აღჭურვილობის იჯარის საფასურს. აღნიშნული თანხა არ მიეკუთვნება ცალ-ცალკე ამ ორი აქტივის კატეგორიას. შესაბამისად, კომპანია აღიარებს როგორც საინვესტიციო ქონებიდან საიჯარო შემოსავალს, ასევე, კლიენტებზე გადაცემული აღჭურვილობის საიჯარო შემოსავალს. იხ. შენიშვნა 9.

9 საინვესტიციო ქონება

2024 წლის ნოემბერში კომპანიამ დაასრულა სასტუმროს მშენებლობა და გააქირავა მის შვილობილ საწარმოზე, შპს "ბოდბე მენეჯმენტზე". შესაბამისად, 5,002 ათასი ლარისა და 81,385 ათასი ლარის ოდენობის მიწა და სასტუმროს შენობა ძირითადი საშუალებებიდან გადაკლასიფიცირდა საინვესტიციო ქონებად.

ათას ქართულ ლარში	მიწა	შენობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება				
2023 წლის 1 იანვარს	-	-	-	-
გადმოტანა ძირითადი საშუალებებიდან	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერს	-	-	-	-
გადმოტანა ძირითადი საშუალებებიდან	5,002	81,385	-	86,387
დამატებები	-	-	2,309	2,309
2024 წლის 31 დეკემბერს	**5,002**	**81,385**	**2,309**	**88,696**
დაგროვილი ცვეთა				
2023 წლის 1 იანვარს	-	-	-	-
წლიური ცვეთის ხარჯი	-	-		-
2023 წლის 31 დეკემბერს	-	-	-	-
წლიური ცვეთის ხარჯი	-	(189)	-	(189)
2024 წლის 31 დეკემბერს	**-**	**(189)**	**-**	**(189)**
საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 1 იანვარს	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერს	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერს	**5,002**	**81,196**	**2,309**	**88,507**

2024 წელს საიჯარო შემოსავალმა, როგორც მიწისა და სასტუმროს შენობის (წარმოადგენს საინვესტიციო ქონებას) იჯარიდან, ასევე, გაქირავებული აღჭურვილობიდან, შეადგინა 61 ათასი ლარი. სასტუმროს შენობის ცვეთის ხარჯმა შეადგინა 189 ათასი ლარი.

10 კაპიტალური დანახარჯებისთვის გადახდილი ავანსები

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ქონების მშენებლობისთვის გადახდილი ავანსები	13,094	17,554	13,094	17,554
სხვა გადახდილი ავანსები	17	-	1	-
სულ ქონების მშენებლობისთვის გადახდილი ავანსები	**13,111**	**17,554**	**13,095**	**17,554**
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(7,802)	(8,071)	(7,802)	(8,071)
სულ ქონების მშენებლობისთვის გადახდილი ავანსები, წმინდა	**5,309**	**9,483**	**5,293**	**9,483**

ჯგუფმა და კომპანიამ შეწყვიტა ხელშეკრულება მთავარ კონტრაქტორთან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ჯგუფმა და კომპანიამ დაიწყო სასამართლო დავა და გააუფასურა ამ კონტრაქტორისთვის გადახდილი ავანსები. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 22. კაპიტალური დანახარჯისთვის გაცემული ავანსების საბალანსო ღირებულების მოძრაობა შემდეგი იყო:

ათას ქართულ ლარში	კონსოლიდირებული მშენებლობის ავანსი	ინდივიდუალური მშენებლობის ავანსი
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	**7,538**	**7,538**
პერიოდის განმავლობაში მოძრაობა, წმინდა	1,945	1,945
გაუფასურების რეზერვი	-	-
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**9,483**	**9,483**
პერიოდის განმავლობაში მოძრაობა, წმინდა	(4,443)	(4,459)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა	269	269
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	**5,309**	**5,293**

11 ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

კომპანია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციას შვილობილ საწარმოში აღრიცხავს ინვესტიციის საწყისი ღირებულებით მანამ, სანამ ინვესტიციის აღიარება არ გაუქმდება ან არ გაუფასურდება. ინვესტიციების შვილობილ საწარმოებში საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, რათა განისაზღვროს, არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები. თუ ასეთი ინდიკატორები არსებობს, დგინდება აქტივების ანაზღაურებადი ღირებულებები. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დასახელება	საქმიანობის ტიპი	ფლობის წილი	რეგისტრაციის ქვეყანა	ინვესტიცია შვილობილ საწარმოში, ათას ქართულ ლარში 2024	2023
შვილობილები:					
შპს ბოდბე მენეჯმენტი	სასტუმროს მენეჯმენტი	100%	საქართველო	5,269	-
შპს ბოდბე კონცეპტი	საცალო მაღაზია	100%	საქართველო	29	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორივე, კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში, შპს "ბოდბე მენეჯმენტი" აღირიცხებოდა როგორც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში 209 ათასი ლარის ოდენობით. 2024 წლის 29 იანვარს, კომპანიამ შეისყიდა დარჩენილი 70%-იანი წილი, რის შედეგადაც მოიპოვა კონტროლი შპს "ბოდბე მენეჯმენტზე" ("შვილობილი") და, შესაბამისად, ინვესტიცია გადაკვალიფიცირდა როგორც ინვესტიცია შვილობილ საწარმოში. შეძენისთვის გადახდილი ფულადი თანხა იყო 50 ლარი. შვილობილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება შეადგენდა 209 ათას ლარს, რაც შეესაბამება კომპანიის მიერ 2023 წელს შეტანილ თანხას შვილობილი საწარმოს კაპიტალში. ამ პერიოდის განმავლობაში შვილობილ საწარმოს არ ჰქონია ოპერაციები ან ფინანსური შედეგები. შეძენილი შვილობილი საწარმოს აქტივები და ვალდებულებები შედგებოდა მხოლოდ 209 ათასი ლარის გადახდილი ავანსებისგან. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის შვილობილ საწარმოში ინვესტიცია აღირიცხება თვითღირებულების მეთოდით.

12 მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულების ან ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ჩვეულებრივი ბიზნეს პროცესის დროს არსებულ სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულებისა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სასტუმროს საოპერაციო მარაგები	2,296	-	-	-
სხვა მარაგები	161	25	20	25
სულ მარაგები	**2,457**	**25**	**20**	**25**

ჯგუფის მარაგების ღირებულება, რომელიც აღიარდა განგრძობად ოპერაციებთან დაკავშირებულ ხარჯად 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგენდა 828 ათას ლარსა და ნულ ლარს, შესაბამისად.

13 ფული და ფულის ექვივალენტები

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული სალაროში	5	-	-	-
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	943	2,382	611	2,382
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**948**	**2,382**	**611**	**2,382**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის ფული და ფულის ეკვივალენტები თავსდება პირველ დონეში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისათვის 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის ნულის ტოლია. 2024 და 2023 წლის განმავლობაში ფინანსური შემოსავალი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე შეადგენდა 15 ათას ლარსა და 21 ათას ლარს. მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები განთავსებულია ქართულ ბანკებში, საკრედიტო რეიტინგით BB, Fitch -ის რეიტინგის სისტემით (2023: BB).

14 საწესდებო კაპიტალი

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფისა და კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 93,623 ათას ლარსა და 63,583 ათას ლარს, შესაბამისად. 2024 და 2023 წლის განმავლობაში დამფუძნებლების ფულადმა შენატანებმა კაპიტალში შეადგინა 30,040 ათასი ლარი და 15,389 ათასი ლარი, შესაბამისად.

ჯგუფისა და კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება არამაკონტროლებელი წილის მფლობელის მიერ გადმოცემული მიწის ნაკვეთისგან და შპს „სიღნაღი ჰოლდინგისა“ და შპს „ეს.სი რეალ ისთეთი და დეველოფმენთის“ ფულადი შენატანებისგან.

2024 წელს ჯგუფმა და კომპანიამ მიიღო ნასესხები სახსრები მშობელი კომპანიისგან არასაბაზრო პირობებით. საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთსა და მსგავს ინსტრუმენტზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობა აღიარდა, როგორც შენატანი კაპიტალში. შესაბამისად, 6,022 ათასი ლარი აღიარდა როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში (შენიშვნა 15).

15 ნასესხები სახსრები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფისა და კომპანიის ნასესხები სახსრების ნაშთების პირობები შემდეგია:

ათას ქართულ ლარში	ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნასესხები სახსრები ადგილობრივი კომერციული ბანკიდან	8.3%,8.5%	აშშ დოლარი	2030-2033	-	25,873
ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარისგან	4%	აშშ დოლარი	31/10/2034	22,788	-
სულ ნასესხები სახსრები				**22,788**	**25,873**

ნასესხების სახსრების საბალანსო ღირებულება და სამართლიანი ღირებულება ერთიდაიგივეა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები დაგირავებულია ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად. იხ. შენიშვნა 8. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრები კომერციული ბანკიდან სრულადი დაიფარა. შესაბამისად, შემდგომ პერიოდში, ძირითადი საშუალებები აღარ არის დაგირავებული. 2024 წელს ჯგუფმა და კომპანიამ მიიღო ნასესხები სახსრები შემდეგი უმაღლესი მშობელი ერთეულისგან, რათა დაეფარა ადგილობრივი კომერციული ბანკიდან ნასესხები სახსრები. საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთი არის არასაბაზრო პირობებით. საკონტრაქტო საპროცენტო განაკვეთსა და მსგავს ინსტრუმენტზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობა აღიარდა, როგორც შენატანი კაპიტალში. შესაბამისად, 6,022 ათასი ლარი აღიარდა როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში.

16 ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ქვედა ცხრილში მოცემულია ჯგუფისა და კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებების ანალიზი და ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებების ცვლილებები თითოეული წარდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების ერთეულები წარდგენილია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების საფინანსო საქმიანობის ნაწილში:

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს			2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს		
ათას ქართულ ლარში	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები 1 იანვარს	**25,873**	**-**	**25,873**	**13,767**	**89**	**13,856**
ფულადი ნაკადები						
სესხის მიღება	59,519	-	59,519	12,847	-	12,847
ძირი თანხის გადახდები	(57,685)	-	(57,685)	(1,295)	-	(1,295)
პროცენტის გადახდები	(2,095)	-	(2,095)	(1,482)	-	(1,482)
არაფულადი ცვლილებები						
პროცენტის დარიცხვა	2,181	-	2,181	1,531	12	1,543
საკონტრაქტო და საბაზრო საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობა	(6,022)	-	(6,022)	-	-	-
საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა	-	-	-	-	(101)	(101)
უცხოური ვალუტის კურსის კორექტირებები	1,017	-	1,017	505	-	505
ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები 31 დეკემბერს	**22,788**		**22,788**	**25,873**	**-**	**25,873**

17 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადასახდელები ქონების მშენებლობისთვის	2,707	2,546	2,706	2,546
სხვა გადასახდელები	488	-	1	-
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	**3,195**	**2,546**	**2,707**	**2,546**
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**3,195**	**2,546**	**2,707**	**2,546**

18 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ნომრების გაქირავებას, საკვებს და სასმელებს, გამაჯანსაღებელ კლუბსა და SPA მომსახურებებს. ამონაგები აღარდება დღგ-ს და ფასდაკლებების გამოკლებით.

ამონაგები ნომრების გაქირავებიდან 342 ათასი ლარის ოდენობით აღიარდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გატარებული ღამეების მიხედვით. ჯგუფსა და კომპანიას სტანდარტული და სპეციალური განაკვეთები აქვს ნომრების გაქირავებისთვის. სპეციალური განაკვეთის შეთავაზება გაყიდვების და რეზერვაციების დეპარტამენტის მიერ ხდება განსაკუთრებული სტუმრებისთვის, კორპორატიული კლიენტებისა და ჯგუფებისთვის, ან სარეკლამო აქტივობის ფარგლებში.

ამონაგები საკვების და სასმელების გაყიდვიდან 811 ათასი ლარის ოდენობით და ამონაგები გამაჯანსაღებელი კლუბიდან და SPAდან 69 ათასი ლარის ოდენობით აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მომხმარებლის მიერ პროდუქტის მიღებისას საოპერაციო სისტემაში ასახული ფასების შესაბამისად.

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ქართულ ლარში	2024	2023	2024	2023
ამონაგები სასტუმროს ოპერაციებიდან	1,222	-	-	-
საინვესტიციო ქონებისა და აღჭურვილობის გაქირავებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი	-	-	61	-
მაღაზიიდან მიღებული შემოსავალი	3	-	-	-
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**1,225**	**-**	**61**	**-**

19 ამონაგების თვითღირებულება

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ქართულ ლარში	2024	2023	2024	2023
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯები	1,365	-	-	-
მარაგების ღირებულება	828	-	-	-
ცვეთის ხარჯი	380	-	-	-
კომუნალურების ხარჯი	91	-	-	-
სულ ამონაგების თვითღირებულება	**2,664**	**-**	**-**	**-**

20 ადმინისტრაციული ხარჯები

	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ქართულ ლარში	**2024**	**2023**	**2024**	**2023**
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯები	1,820	584	819	584
სხვა გადასახადების ხარჯი, მოგებიდან გადასახადის გარდა	832	576	832	576
კლევადიან იჯარასთან და დაბალ ღირებულებიან აქტივებთან დაკავშირებული ხარჯები	205	252	112	252
ბანკის საკომისიოები და მომსახურების ხარჯები	80	58	61	58
პროფესიული მომსახურებები	20	106	20	106
დაზღვევის ხარჯები	10	2	2	2
სხვა საოპერაციო ხარჯები	416	8	419	8
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	**3,383**	**1,586**	**2,265**	**1,586**

21 ფინანსური ხარჯი

		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ქართულ ლარში	**შენიშვნა**	**2024**	**2023**	**2024**	**2023**
საპროცენტო ხარჯი	16	2,181	1,531	2,181	1,531
ნასესხებ სახსრებზე უცხოური ვალუტის საკურსო ზარალი გამოკლებული საკურსო მოგება	16	1,017	505	1,017	505
სხვა ანარიცხები ვალდებულებებისთვის და ხარჯები		154	12	154	12
სულ ფინანსური ხარჯები		**3,352**	**2,048**	**3,352**	**2,048**
გამოკლებული დაკაპიტალიზირებული ფინანსური ხარჯები	8	(1,833)	(1,359)	(1,833)	(1,359)
სულ მოგება-ზარალში აღიარებული ფინანსური ხარჯები		**1,519**	**689**	**1,519**	**689**

ჯგუფმა და კომპანიამ დააკაპიტალიზირა დაფინანსებისგან წარმოშობილი ნასესხები სახსრების ხარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება სასტუმროს მშენებლობას. კაპიტალიზაციის განაკვეთი იყო 84.04% (2023: 88.77%).

22 გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავა. 2022 წლის განმავლობაში ჯგუფმა და კომპანიამ შეწყვიტა ხელშეკრულება მთავარ კონტრაქტორთან მის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. კონტრაქტორს კომპანიისგან მიღებული ჰქონდა ავანი 8,071 ათასი ლარის ოდენობით, რისი შესაბამისი შესრულებული სამუშაოს დამამტკიცებელი საბუთები არ წარმოუდგენია და არც მიღებული ავანსები დაუბრუნებია. შესაბამისად, ჯგურმა და კომპანიამ დაიწყეს სამართლებრივი დავა კონტრაქტორის წინააღმდეგ. პროკურატურის მიერ 2024 წლის 5 ივნისს გამოცემული დადგენილების შესაბამისად, ჯგუფი და კომპანია დაზარალებულად იქნენ აღიარებული და დადგინდა, რომ მათ 4,734 ათასი ლარის ოდენობით მატერიალური ზიანი მიადგათ. ხელმძღვანელობის აზრით, თანხა სრულად ამოღებადია.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური დოკუმენტები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადები რამდენიმე სამთავრობო ორგანოს მიერ გადაიხედება და მოწმდება, რომელთაც აქვთ საურავების, ჯარიმების და პროცენტების დაკისრების უფლებამოსილება. ფისკალური წელი საგადასახადო ორგანოების მიერ განხილვას ექვემდებარება მომდევნო სამი წლის მანძილზე, თუმცა გარკვეულ გარემოებებში ფისკალური წლის განხილვა შეიძლება მოხდეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზეც. ამ გარემოებებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკები, რაც საქართველოში უფრო არსებითად მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

კაპიტალური დანახარჯის ვალდებულებები. 2014 წლის 4 ივნისს, მესამე მხარემ სიღნაღში მდებარე მიწის ნაკვეთებით უსასყიდლო სარგებლობისთვის ხელშეკრულება გააფორმა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოსთან“. ხელშეკრულების მიხედვით, მესამე მხარემ აიღო კაპიტალური დანახარჯის ვალდებულება, რომ მოახდენს 20,000 ათასი ლარის ინვესტირებას ხელშეკრულებიდან 72 თვის განმავლობაში სულ მცირე 135 ნომრიანი სასტუმროს ასაშენებლად. 2023 წლის 4 დეკემბრის ცვლილების მიხედვით, აღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადა შეიცვალა და გადაიწია 2024 წლის 4 დეკემბრამდე. 2018 წლის 14 ივნისს, კომპანიამ ზემოთხსენებულ სიღნაღში არსებული მიწის ნაკვეთების შესაძენად ხელშეკრულება გააფორმა შპს მესამე მხარესთან. კომპანიამ ამ კაპიტალური დანახარჯის ვალდებულებისთვის გასცა 200 ათასი ლარის საბანკო გარანტია სს „საქართველოს ბანკიდან“.

გარანტიები. გარანტიები არის გამოუთხოვადი რწმუნება რომ ჯგუფი და კომპანია შეასრულებს აღებულ ვალდებულებას იმ შემთხვევაში, როცა სხვა მხარე ვერ შეასრულებს მის ვალდებულებას. ჯგუფმა და კომპანიამ გასცა შემდეგი ვალდებულებების გარანტია (ათას ლარში):

ბენეფიციარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქონების მართვის სააგენტო“	200 ათასი ლარი	200 ათასი ლარი

გარემოსთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს გარემოს დაცვის რეგულაციები დგინდება და აღსრულება ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ და გადაიხედება მუდმივად. კომპანია პერიოდულად აფასებს მის ვალდებულებებს გარემოს დაცვის რეგულაციებთან დაკავშირებით. როდესაც ვალდებულებები განისაზღვრება, ისინი მაშინვე აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვება არსებული რეგულაციების ცვლილებიდან, სამოქალაქო სარჩელებიდან ან კანონმდებლობიდან, ვერ ფასდება, მაგრამ შესაძლოა არსებითი იყოს. მიმდინარე კანონმდებლობის სააღსრულებლო კლიმატში, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები, რომელიც წარმოიშვება გარემოსთვის ზიანის მიყენების გამო.

კოვენანტებთან შესაბამისობა. ჯგუფი და კომპანია ექვემდებარება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ კოვენანტებთან შესაბამისობას. ასეთ კონვენანტებთან შეუსაბამობა შესაძლოა გამოიხატოს ჯგუფისა და კომპანიისთვის უარყოფით შედეგებში. ჯგუფსა და კომპანიას არ ჰქონდა კონვენანტები დაკავშირებული მხარისგან მიღებულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით (შენიშვნა 15). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი და კომპანია კოვენანტებთან შესაბამისობაშია.

კლიმატის ცვლილების განხილვა. ჯგუფისა და კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ცნობიერება და შეშფოთება კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და ჯგუფისა და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ მიიღებს ზომებს ჯგუფისა და კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

23 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფსა და კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებსა და სამართლებრივ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ფუნქციაა რისკის ზღვრების დადგენა და იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის შესაძლო ზემოქმედება აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და სამართლებრივი რისკები.

საკრედიტო რისკი. ჯგუფსა და კომპანიას აქვს განფენილობა საკრედიტო რისკის მიმართ, რაც არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზარალი მეორე მხარისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის განფენილობა წარმოიშვება კომპანიის მიერ პროდუქტის გაყიდვებიდან და სხვა ოპერაციებიდან კონტრაგენტებთან საკრედიტო პირობებით, რომლებიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური განფენილობა სხვადასხვა კლასის ფინანსური აქტივების მიხედვით ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემდეგნაირად:

		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
ათას ქართულ ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სხვა ფინანსური აქტივები					
- შეზღუდული ფულადი სახსრები	22	200	200	200	200
ფული და ფულის ეკვივალენტები					
- მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	13	948	2,382	611	2,382
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები					
-მისაღები თანხები კლიენტებისგან		176	-	174	-
სულ საბალანსო განფენილობა		**1,324**	**2,582**	**985**	**2,582**
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური განფენილობა		**1,324**	**2,582**	**985**	**2,582**

ჯგუფსა და კომპანიას აქვს განფენილობა საკრედიტო რისკის მიმართ, რაც არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური ზარალი მეორე მხარისთვის, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის განფენილობა წარმოიშვება ჯგუფისა და კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული ტრანზაქციებით, რომლებიც თავის მხრივ წარმოშობს ფინანსურ აქტივებს და ბალანსგარეშე ვალდებულებებს. ჯგუფისა და კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური განფენილობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში. გაცემული არაა ფინანსური გარანტიები, ვალდებულება კრედიტის გაზრდისთვის, არ არის აუთვისებელი საკრედიტო ხაზები და ექსპორტ/იმპორტის აკრედიტივები. ჯგუფისა და კომპანიის ბიზნესმოდელის გათვალისწინებით, არაა მოსალოდნელი რომ საკრედიტო რისკს მნიშვნელოვანი გავლენა ქონდეს ჯგუფსა და კომპანიაზე, რადგან კომპანია არ ახდენს ინვესტირებას საკრედიტო რისკის მართვის რთული სისტემის შესაქმნელად.

ლიმიტები. ჯგუფი და კომპანია ახდენს თავისი საკრედიტო რისკის დონეების სტრუქტურირებას და ადგენს რისკის მიღებადი ზომის ლიმიტებს კონტრაგენტსა ან კონტრაგენტთა ჯგუფებთან. საკრედიტო რისკის დონის ლიმიტები რეგულარულად მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ. ხდება ასეთი რისკების დაკვირვება განახლებად საფუძველზე, და ისინი ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას. ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდება საკრედიტო ლიმიტის ანალიზი და დამტკიცება. საკრედიტო რისკისადმი განფენილობის მონიტორინგისთვის რეგულარულად მზადდება ანგარიშები სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ფოკუსირებულია კლიენტის გადახდების განრიგის შესრულებაზე. გაუარესებული საკრედიტო უნარიანობის მქონე კლიენტებთან ნებისმიერი ურთიერთობის თაობაზე ეცნობება ხელმძღვანელობას, რომელიც ახდენს ამ საკითხის განხილვას. ჯგუფისა და კომპანიის ხელმძღვანელობა აანალიზებს კონტრაგენტების საქმიანობის შედეგებს და თვალყურს ადევნებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის სამომავლო ფულადი სახსრების დეფიციტის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (ე. ი. საშუალო შეწონილი საკრედიტო ზარალი, შესაბამისი ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკით, რომელიც ხდება შესაწონად გამოყენებულ დროის მოცემულ პერიოდში). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მიუკერძოებელია და განსაზღვრულია მთელი რიგი შესაძლო შედეგების შეფასებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ემყარება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობა (“PD”), განფენილობა ვალდებულებების შეუსრულებლობისადმი (“EAD”), ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ზარალი (“LGD”) და დისკონტირების განაკვეთი.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

EAD არის განფენილობის შეფასება მომავალი ვალდებულებების შეუსრულებლობის თარიღისთვის, გასათვალისწინებელია სავარაუდო ცვლილებები განფენილობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები და მოსალოდნელი შემცირებები ვალდებულებებში. PD არის ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობის შეფასება, რომელიც შესაძლოა დადგეს მოცემული დროის განმავლობაში. LGD არის ვალდებულებების შეუსრულებლობიდან წარმოშობილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება განსხვავებას ხელშეკრულებით ნაკისრ ფულად ნაკადებსა და იმ თანხას შორის, რომლის მიღების მოლოდინიც აქვს მას, მათ შორის ნებისმიერი უზრუნველყოფიდან. ის ჩვეულებრივ გამოიხატება როგორც EAD-ის პროცენტული წილი. მოსალოდნელი ზარალები დისკონტირდება დღევანდელ ღირებულებამდე საანგარიშგებო თარიღის ბოლოსთვის. დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს (“EIR”) ფინანსური ინსტრუმენტისათვის ან მის მიახლოვებულ მნიშვნელობას. ხელმძღვანელობა მოდელირებას უკეთებს *მთლიანი ვადის მსზ*-ს, რომელიცაა ზარალი, რომელიც დგება ყველა შესაძლო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტის მთელი დარჩენილი პერიოდისათვის. *12 თვის მსზ* წარმოადგენს მთლიანი ვადის მსზ-ის წილს, რომელიც დგება ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში და დგება 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღიდან, ან დარჩენილი მთლიანი პერიოდის *ფინანსური ინსტრუმენტისთვის* თუ ის ერთ წელზე ნაკლებისაა. მსზ-ები, რომლებიც ხელმძვანელობის მიერ ფასდება ამ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის არის მოცემული დროის მომენტის შეფასება, და არა მთლიანი ციკლის შეფასება რაც ჩვეულებრივ გამოიყენება მარეგულირებელი მიზნებისათვის. შეფასებები ითვალისწინებს პროსპექტულ ინფორმაციას, რაც ნიშნავს რომ მსზ ასახავს ვითარებების საშუალო შეწონილ ალბათობას მაკროეკონომიკური ცვლადებისა, რომლებმაც შეიძლება იმოქმედონ საკრედიტო რისკზე.

PD-ს გაზომვის მიზნებისთვის, კომპანია განსაზღვრავს ვალდებულებების შეუსრულებლობას როგორ სიტუაციას როდესაც განფენილობა დააკმაყოფილებს ერთს ან მეტს შემდეგი კრიტერიუმებიდან:

- მოვალემ კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდა 90 დღეზე მეტით დააგვიანა;
- მოვალე აღწევს ვერ გადახდის ალბათობას შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
    - მოვალემ შეწყვიტა არსებობა;
    - მოვალე გადახდისუუნაროა; და
    - სავარაუდო ხდება, რომ მოვალე გაკოტრდება;

განმარტების მიზნისათვის, ჯგუფისა და კომპანიის მიდგომა მთლიანად შეესაბამება ვალდებულებების შეუსრულებლობის განმარტებას საკრედიტო გაუფასურებულ აქტივთან ერთად. ვალდებულებების შეუსრულებლობის განმარტება, რომელიც მოცემულია ზემოთ, გამოიყენება ჯგუფისა და კომპანიის ყველა ტიპის ფინანსური აქტივისათვის.

ჯგუფი და კომპანია მსზ-ს შეფასებას ახდენს ინდივიდუალურ საფუძველზე ყველა ტიპის ფინანსური ინსტრუმენტისთვის. ინდივიდუალურ საფუძველზე მსზ-ს შეფასება ხდება საკრედიტო ზარალების საშუალო შეფასებებით შესაძლო განსხვავებული შედეგებისგან, ყოველი შედეგის ალბათობების საპირისპიროდ. ჯგუფსა და კომპანიას განსაზღვრული აქვს სულ მცირე ორი შესაძლო შედეგი ყოველი შეფასებული სესხისთვის, რომელთაგანაც ერთ-ერთს მივყავართ საკრედიტო ზარალამდე მაშინაც კი, თუ ასეთი სცენარის ალბათობა ძალიან დაბალი იქნება.

ზოგადად, მსზ მოდელი მოიცავს შემდეგი საკრედიტო რისკის პარამეტრების ჯამს: EAD, PD და LGD, რომლებიც განისაზღვრება ზემოთ მოცემული აღწერის მიხედვით და დისკონტირდება დღევანდელ ღირებულებამდე ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მსზ განისაზღვრება საკრედიტო რისკის პარამეტრების პროგნოზებით (EAD, PD და LGD) თითოეული სამომავლო მთლიანი პერიოდის განმავლობაში ყოველი ერთეული განფენილობისთვის. ეს სამი კომპონენტი მრავლდება ერთმანეთზე და კორექტირდება აცილებადობის ალბათობით. (ე. ი. განფენილობა, რომელიც გადაიხდება ან ვალდებულებების შეუსრულებლობის მდგომარეობაში იყო წინა თვეში). ეს ეფექტურად გამოითვლის მსზ-ს მომავლის თითოეული პერიოდისთვის, რომელიც შემდეგ დისკონტირდება უკან საანგარიშგებო თარიღში და ჯამდება. მსზ-ში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოებითი მნიშვნელობაა.

მსზ-ს მოდელში ჩართული საპროგნოზო ინფორმაცია. მსზ-ს შეფასება მოიცავს საპროგნოზო დასაბუთებად ინფორმაციას. ჯგუფმა და კომპანიამ განსაზღვრა ზოგიერთი საკვანძო ეკონომიკური ცვლადი, რომლებიც კორელირებს საკრედიტო რისკის ცვლილებებსა და მსზ-თან. ჯგუფისა და კომპანიის მიერ კეთდება ეკონომიკური ცვლადების პროგნოზები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“), რაც იძლევა მომდევნო წლის მანძილზე მოსალოდნელი მაკროეკონომიკური განვითარების საუკეთესო შეფასებას.

საბაზრო რისკი. ჯგუფსა და კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკების მიმართ განფენილობა. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივებსა და ვალდებულებებში (გ) კაპიტალის პროდუქტებში, ყველა მათგანში, რომელიც განფენილია ზოგადი და კონკრეტული საბაზრო ცვლილებების მიმართ. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია და რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკებისადმი მგრძნობელობა ეფუძნება ფაქტორის ცვლილებას ყველა დანარჩენი ფაქტორების უცვლელად დარჩენის შემთხვევაში. პრაქტიკაში ეს ნაკლებ სავარაუდოა, და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილება შეიძლება იყოს კორელირებადი, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება იმერყეველებს უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებების გამო. ჯგუფსა და კომპანიას აქვს განფენილობა ამ მერყეობების გავლენისადმი უცხოური ვალუტის კურსებში მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკთან მიმართებაში, ხელმძღვანელობა აწესებს ვალუტისა და ზოგადი განფენილობის ლიმიტს. პოზიციების მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფისა და კომპანიის განფენილობა სავალუტო რისკის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

კონსოლიდირებული

	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
ათას ქართულ ლარში	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	807	(1,730)	(923)	267	(1,040)	(773)
აშშ დოლარი	517	(24,205)	(23,688)	2,314	(27,355)	(25,041)
ევრო	-	(48)	(48)	1	(19)	(18)
სულ	**1,324**	**(25,983)**	**(24,659)**	**2,582**	**(28,414)**	**(25,832)**

ინდივიდუალური

	31 დეკემბერი 2024			31 დეკემბერი 2023		
ათას ქართულ ლარში	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	468	(1,242)	(774)	267	(1,040)	(773)
აშშ დოლარი	517	(24,205)	(23,688)	2,314	(27,355)	(25,041)
ევრო	-	(48)	(48)	1	(19)	(18)
სულ	**985**	**(25,495)**	**(24,510)**	**2,582**	**(28,414)**	**(25,832)**

ზემოთ მოყვანილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. არაფულადი აქტივები არ განიხილება როგორც რაიმე არსებითი სავალუტო რისკის შემქმნელი.

მომდევნო ცხრილში ნაჩვენებია მოგება ან ზარალისა და კაპიტალის მგრძნობელობა სამუშაო ვალუტასთან მიმართებით გაცვლითი კურსების გონივრული შესაძლო ცვლილებებისადმი, სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების პირობებში:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
ათას ქართულ ლარში	გავლენა მოგება ან ზარალზე	საკუთარ კაპიტალზე გავლენა	გავლენა მოგება ან ზარალზე	საკუთარ კაპიტალზე გავლენა
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	(2,368)	(2,368)	(2,504)	(2,504)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	2,368	2,368	2,504	2,504

განფენილობა გამოითვლება მხოლოდ ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც დენომინირებულია სამუშაო ვალუტიდან განსხვავებულ ვალუტაში ჯგუფისა და კომპანიის შესაბამის საწარმოში. ჯგუფისა და კომპანიის სავალუტო რისკის განფენილობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ წარმოადგენს წლის განმავლობაში არსებულ ტიპიურ განფენილობას.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შეიძლება იმოქმედოს მომავალ ფულად ნაკადებზე ან ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე. თუმცა, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება არ ახდენს გავლენას ჯგუფისა და კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე. ყველა პროცენტიან სესხსა და ნასესხებ სახსრებს, ფულად და ფულადი სახსრების ეკვივალენტებს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები და, შესაბამისად, ჯგუფი და კომპანია არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს ამ ფინანსური აქტივებიდან და ვალდებულებებიდან.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფსა და კომპანიას სირთულეები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. ჯგუფს და კომპანიას აქვს განფენილობა ყოველდღიური მოთხოვნების მიმართ თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფისა და კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზების მონიტორინგს.

ჯგუფი და კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსება, რომელიც, პირველ რიგში, შედგება მოზიდული სახსრებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისგან.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათი ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილი ვადების მიხედვით. მოცემული თანხები დაფარვის ვადის ცხრილებში წარმოადგენს არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მთლიან სასესხო ვალდებულებებსა და ფინანსურ გარანტიებს. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხებისგან, ვინაიდან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება მიმდინარე გაცვლითი კურსით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი იყო შემდეგი:

კონსოლიდირებული

ათას ქართულ ლარში	მოთხოვნამდე ან 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბერს						
ნასესხები სახსრები	-	-	1,255	15,486	18,711	35,452
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,195	-	-	-	-	3,195
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	**3,195**	**-**	**1,255**	**15,486**	**18,711**	**38,647**
ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბერს						
ნასესხები სახსრები	354	709	3,190	17,016	14,886	36,155
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,546	-	-	-	-	2,546
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	**2,900**	**709**	**3,190**	**17,016**	**14,886**	**38,701**

ინდივიდუალური

ათას ქართულ ლარში	მოთხოვნამდე ან 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბერს						
ნასესხები სახსრები	-	-	1,255	15,486	18,711	35,452
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,707	-	-	-	-	2,707
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	**2,707**	**-**	**1,255**	**15,486**	**18,711**	**38,159**
ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბერს						
ნასესხები სახსრები	354	709	3,190	17,016	14,886	36,155
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,546	-	-	-	-	2,546
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	**2,900**	**709**	**3,190**	**17,016**	**14,886**	**38,701**

24 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფისა და კომპანიის დასახული ამოცანებია შეინარჩუნოს ჯგუფისა და კომპანიის უნარი რომ გააგრძელოს არსებობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მფლობელს მოუტანოს მოგება, ხოლო სხვა დაინტერესებულ მხარეებს - სარგებლები, და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა საკუთარ კაპიტალზე ხარჯების შესამცირებლად. იმისათვის რომ შენარჩუნდეს ან დაკორექტირდეს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა და კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელს ან გაყიდოს აქტივები რათა შეამციროს ვალი. ჯგუფისა და კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის და დაგროვილი ზარალისგან. კაპიტალის ოდენობა რომელსაც ჯგუფი მართავდა 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 84,856 ათას ლარს (2023: 55,153 ათასი ლარი). კაპიტალის ოდენობა რომელსაც კომპანია მართავდა 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 87,824 ათას ლარს (2023: 55,153 ათასი ლარი).

25 რეალური ღირებულების გამჟღავნება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება არის შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები არის შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს მსჯელობას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემების მნიშვნელობა შეფასებულია მთლიანად რეალური ღირებულების შეფასების მნიშვნელობასთან მიმართებაში.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება მიახლოვებულია მის საბალანსო ღირებულებასთან.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულებაც გამჟღავნებულია.

იმ აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, შემდეგია:

კონსოლიდირებული

	31 დეკემბერი 2024				31 დეკემბერი 2023			
ათას ქართულ ლარში	დონე 1 რეალური ღირებულება	დონე 2 რეალური ღირებულება	დონე 3 რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	დონე 1 რეალური ღირებულება	დონე 2 რეალური ღირებულება	დონე 3 რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფული და ფულის ექვივალენტები	-	948	-	948	-	2,382	-	2,382
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	176	-	176	-	-	-	-
- სხვა ფინანსური აქტივები	-	200	-	200	-	200	-	200
სულ ფინანსური აქტივები	**-**	**1,324**	**-**	**1,324**	**-**	**2,582**	**-**	**2,582**
ვალდებულებები								
- ნასესხები სახსრები	-	22,788	-	22,788	-	25,873	-	25,873
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	3,195	-	3,195	-	2,546	-	2,546
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**25,983**	**-**	**25,983**	**-**	**28,419**	**-**	**28,419**

25 რეალური ღირებულების გამჟღავნება (გაგრძელება)

ინდივიდუალური

ათას ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2024				31 დეკემბერი 2023			
	დონე 1 რეალური ღირებულება	დონე 2 რეალური ღირებულება	დონე 3 რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	დონე 1 რეალური ღირებულება	დონე 2 რეალური ღირებულება	დონე 3 რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფული და ფულის ექვივალენტები	-	611	-	611	-	2,382	-	2,382
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	174	-	174	-	-	-	-
- სხვა ფინანსური აქტივები	-	200	-	200	-	200	-	200
სულ ფინანსური აქტივები	**-**	**985**	**-**	**985**	**-**	**2,582**	**-**	**2,582**
ვალდებულებები								
- ნასესხები სახსრები	-	22,788	-	22,788	-	25,873	-	25,873
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	2,707	-	2,707	-	2,546	-	2,546
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**25,495**	**-**	**25,495**	**-**	**28,419**	**-**	**28,419**

26 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კაპიტალის გაზრდა. 2025 წლის განმავლობაში ჯგუფისა და კომპანიის კაპიტალი გაიზარდა ერთი და იმავე თანხით - 11,943 ათასი ლარით.

ხელმძღვანელობის ცვლილება. 2025 წელს ჯგუფმა თავისი შვილობილი საწარმოს - შპს "ბოდბე მენეჯმენტის" ხელმძღვანელობა, რომელიც პასუხისმგებელი იყო სასტუმროს საქმიანობაზე, ჩაანაცვლა შპს "სასტუმროების მართვის კომპანიით"(ერთობლივ კონტროლქვეშ არსებული საწარმო), რათა უზრუნველყოფილიყო ოპერაციების გამართული და ოპტიმალური ფუნქციონირება და გაუმჯობესებულიყო შედეგები.

1 ჯგუფის ბიზნეს განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, შპს სასტუმრო სიღნაღის(შემდგომში „კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიებისთვის ("ჯგუფი"). კომპანია დაფუძნდა 2018 წლის 8 მაისს და რეგისტრირებულია საქართველოში. ჯგუფის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს მაღალი კლასის ღუქს სასტუმროს მშენებლობა და ოპერირება სიღნაღში (კახეთის რეგიონი), საქართველო.

2024 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები
- სასტუმროს ძირითადი შენობის მშენებლობა დასრულდა 2024 წლის სექტემბერში; სასტუმრომ კომერციული ოპერაციები დაიწყო 2024 წლის ნოემბერში.
- 2024 წლის 4 დეკემბერს ჯგუფმა დააფუძნა სრულად მფლობელობაში არსებული შვილობილი საწარმო - შპს "ბოდბე კონცეპტი". 2024 წლის იანვარში ჯგუფმა მოიპოვა კონტროლი შპს "ბოდბე მენეჯმენტზე" დარჩენილი წილის შეძენის შედეგად (იხილეთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-11 შენიშვნა).
- 2024 წლის განმავლობაში აქციონერებმა შეიტანეს კაპიტალი 36,062 ლარის ოდენობით (მათგან 30,040 ლარი — საწესდებო კაპიტალის გაზრდა, ხოლო 6,022 ლარი — დამატებით გადახდილი კაპიტალია).
- ჯგუფი იმყოფება პროექტის მეორე ფაზაში, რომელიც მოიცავს გამწვანების სამუშაოებს და მომსახურე პერსონალისთვის დამატებითი შენობის მშენებლობას; ეს სამუშაოები გაგრძელდა 2025 წელსაც.

2 ჯგუფის განვითარების გეგმები

მენეჯმენტის პრიორიტეტი 2025 წლისთვის არის სასტუმროს სრული წლის ოპერაციების სტაბილიზაცია, დარჩენილი გამწვანების და პერსონალის საცხოვრებელი სივრცის სარემონტო/სამშენებლო სამუშაოების დასრულება, ასევე დატვირთვისა და შემოსავლების ზრდის უზრუნველყოფა მიზნობრივი მარკეტინგის, გაუმჯობესებული დისტრიბუციისა და პარტნიორობების გზით.

3 ჯგუფის მიერ განხორციელებული კვლევითი და განვითარების საქმიანობა

ჯგუფი არ ახორციელებს არსებით კვლევისა და განვითარების საქმიანობას. ნებისმიერი პროდუქტის ან მომსახურების გაუმჯობესება შემოიფარგლება საოპერაციო მზადყოფნით, მომსახურების სტანდარტებით და სასტუმროს ექსპლუატაციისთვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობების შესყიდვით.

4 ინფორმაცია საწარმოს ფილიალების შესახებ

ჯგუფს არ აქვს ფილიალები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყოფილ რეგისტრირებულ ერთეულებს გარეთ. ჯგუფის ძირითადი საოპერაციო ლოკაცია არის სიღნაღი.

5 ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შერჩეული კონსოლიდირებული ძირითადი მაჩვენებლები (ათასლარში).

- ამონაგები: 1,225 (2023: 0) — ამონაგები ეხება 2024 წლის ნოემბერში დაწყებულ საოპერაციო საქმიანობას.
- წლის ზარალი: (6,359) (2023: (2,107)).
- სულ აქტივები: 112,569 (2023: 85,717).
- სულ კაპიტალი: 84,856 (2023: 55,153).
- სულ ვალდებულებები: 27,713 (2023: 30,564).
- მიმდინარე კოეფიციენტი (მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები): 0.73 (2023: 0.35).
- ვალდებულება-კაპიტალის კოეფიციენტი (სულ ვალდებულებები / სულ კაპიტალი): 33% (2023: 55%).
- კაპიტალის სტრუქტურა (გრძელვადიანი ნასესხები სახსრები / (გრძელვადიანი ნასესხები სახსრები + კაპიტალი)): 21.1% (2023: 30.0%).

ამ ანგარიშში გამოყენებული განსაზღვრებები და გამოთვლილი მაჩვენებლები:

- ROAA (უკუგება საშუალო აქტივებზე) = წლის ზარალი / სულ საშუალო აქტივები - (6.4)% (უარყოფითი).
- ROAE (უკუგება საშუალო კაპიტალზე) = წლის ზარალი / საშუალო კაპიტალი - (9.1)% (უარყოფითი).
- თავისუფალი სახსრები (Free cash flow) და EBITDA არ არის წარმოდგენილი როგორც არსებითად შესადარებელი მაჩვენებლები წინა წელთან, ვინაიდან ჯგუფი გადავიდა სამშენებლო ეტაპიდან ოპერაციულ ფაზაში და წინა პერიოდებში არ არსებობდა შესაბამისი მასშტაბის ოპერაციები შედარებისთვის.

6 დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 და 2023 წლებში ჯგუფს საკუთარი აქციები არ შეუძენია.

7 კომპანიის საკრედიტო, ბაზრის, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი
- ჯგუფის საკრედიტო რისკის ზემოქმედება ძირითადად გამომდინარეობს კორპორატიული კლიენტებისგან, ტუროპერატორებისა და ონლაინ პლატფორმებისგან მისაღები თანხებიდან. ვინაიდან სასტუმროს ოპერაციები მხოლოდ 2024 წლის ბოლოს დაიწყო, საკრედიტო ზემოქმედების დონე კვლავ შეზღუდულია. ჯგუფი იყენებს მკაცრ საკრედიტო პოლიტიკას, მონიტორინგს უწევს არსებულ დავალიანებებს და თანამშრომლობს სანდო შუამავლებთან, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი. ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები ინახება ქართულ კომერციულ ბანკებში, რომლებსაც აქვთ დამაკმაყოფილებელი საკრედიტო რიტინგები.

საბაზრო რისკი (სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკის ჩათვლით)
- სავალუტო კურსისადმი ზემოქმედება შეზღუდულია, რადგან ჯგუფის წარმოდგენის ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი) და მისი ხარჯებისა და დაფინანსების უმეტესი ნაწილი ასევე ლარშია ნომინირებული. ჯგუფი მონიტორინგს უწევს სავალუტო რისკებს და გადახედავს დაფინანსების პირობებს, რათა შეამციროს საპროცენტო რისკი. საბაზრო რისკების მგრძნობელობის ანალიზი მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 23-ე შენიშვნაში.

ლიკვიდობის მართვა ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ფინანსური პრიორიტეტია,
-მშენებლობის დასრულებისა და ოპერაციების დაწყების საწყის ფაზაში. ხელმძღვანელობა ამზადებს დეტალურ მოკლე და საშუალოვადიან ფულადი ნაკადების პროგნოზებს და მეთოდურად აკვირდება ფინანსური ვალდებულებების ვადიანობას. **2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**, ჯგუფს ჰქონდა **948 ათასი ლარის** ოდენობის ფული და მისი ექვივალენტები, ასევე გააჩნდა აქციონერების უწყვეტი მხარდაჭერის რესურსი საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად.
კომპანიის **მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი** წლის ბოლოს შეადგენდა **0.73-ს**, რასაც ხელმძღვანელობა მოელის, რომ გაუმჯობესდება 2025 წელს საოპერაციო ფულადი ნაკადების ზრდასთან ერთად.

ფუნქციონირების უწყვეტობა
-ხელმძღვანელობამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. 2024 წელს განხორციელებული აქციონერთა კაპიტალის ინვესტიციები, მიღებული ნასესხები სახსრები და სასტუმროს ოპერაციების მოსალოდნელი ფულადი შემოდინებები ქმნის გონივრულ საფუძველს ასეთი შეფასებისთვის. ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს საოპერაციო გეგმებს და ფულადი ნაკადების პროგნოზებს, რათა უზრუნველყოს, ჯგუფის მიერ ვალდებულებების დროულად შესრულება.
ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ უწყვეტი მონიტორინგის, ფრთხილი ფინანსური მართვისა და ძლიერი აქციონერული მხარდაჭერის პირობებში ჯგუფი კარგად არის პოზიციონირებული ძირითადი რისკების შესამცირებლად და ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად ცვალებადი ბიზნესგარემოს პირობებში.

8 ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოს მიზანი და ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა

ჯგუფის საქმიანობა ექვემდებარება ფინანსური და საოპერაციო რისკების მრავალფეროვნებას, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდნენ მის მუშაობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ჯგუფის რისკების მართვის ჩარჩო შექმნილია იმისათვის, რომ რისკები გამოავლინოს, შეაფასოს და შეამციროს სტრუქტურულ და თანმიმდევრულ ფორმატში, ჯგუფის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობასთან ერთად. ძირითადი რისკები, რომელთა წინაშეც ჯგუფი დგას, დაჯგუფებულია ქვემოთ.

საბაზრო და საოპერაციო რისკები

ჯგუფი მოქმედებს ჰოსფითალითის სექტორში, რომელიც უკიდურესად მგრძნობიარეა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ეკონომიკური პირობების, ტურისტული ნაკადების და მომხმარებლის დანახარჯების ტენდენციების მიმართ. ტურისტულ ბაზარზე უარყოფითმა ცვლილებებმა — მათ შორის გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ, მოგზაურობის შემცირებამ ან გლობალურმა ეკონომიკურმა რეცესიამ — შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის დატვირთვის დონესა და შემოსავლის მოცულობაზე.
ხელმძღვანელობა აქტიურად აკვირდება საბაზრო ტენდენციებს და საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ცვლილებებს ფასებში, მარკეტინგისა და ხარჯების სტრუქტურაში, რათა შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და მომგებიანობა.

საპროცენტო რისკი

ჯგუფის საპროცენტო რისკი დაკავშირებულია მის ნასესხებ სახსრებთან, რომლებიც ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით არის ნომინირებული. მიუხედავად იმისა, რომ სესხების უმეტესი ნაწილი გაცემულია ქართულ ლარში, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებს შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ხარჯების ოდენობაზე. ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს სესხების პორტფელს და აკვირდება რეფინანსირების შესაძლებლობებს უფრო ხელსაყრელი პირობებით, რათა შეამციროს მომავალი საპროცენტო ხარჯების ზრდის რისკი.

სავალუტო რისკი

ჯგუფის სავალუტო რისკი შეზღუდულია, რადგან შემოსავლების, ხარჯებისა და დაფინანსების უმრავლესობა ლარშია ნომინირებული. მიუხედავად ამისა, გარკვეული ზემოქმედება არსებობს იმპორტირებულ აღჭურვილობასთან და მარაგებთან დაკავშირებით.
ჯგუფი აკვირდება სავალუტო კურსების ცვლილებებს და საჭიროების შემთხვევაში იყენებს ბუნებრივ ჰეჯირებას ან ადგილობრივი ვალუტით დენომინირებულ მიწოდების ხელშეკრულებებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს სავალუტო კურსების მერყეობის გავლენა.

კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფის მიზანია კაპიტალის მართვისას უზრუნველყოს საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირება და შეინარჩუნოს ოპტიმალური კაპიტალის სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მომავალ ზრდას.
ხელმძღვანელობა აკვირდება ვალდებულებები/კაპიტალის კოეფიციენტს და უზრუნველყოფს, რომ ჯგუფი სათანადოდ იყოს მომზადებული საოპერაციო და საინვესტიციო საჭიროებების დასაფინანსებლად.
2024 წელს აქციონერებმა შეიტანეს 36,062 ათასი ლარი, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ჯგუფის პოზიცია და შეამცირა კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი 21%-მდე.

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმოწერილია 2025 წლის 18 ნოემბერს.

მარიკა ვახტანგიშვილი
დირექტორი

მარიამ ხუციანიძე
მთავარი ბუღალტერი

თარჯიმანი: ნინო მახარაძე